ეროვნული ბიბლიოთეკა


# საარბიელო

სპორტული გაზეთი | შაბათი 30 ნოემბერი 2002 №229 (1751) | ფასი 50 თეთრი


# ბატონი ავად გამხდარა

## ქუთაისურ ბაქანზე ცაკარიასი ჩამოდგება



„ლოკომოტივთან“ თბილისური მატჩიდან ანდრი პოროშინი (მარცხნივ) და მისი „ტორპედო“ ქუთაისში ხელცარიელი გაბრუნდნენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა ჩატარებულიყო — პირველი, მერაბ ჟორდანიას ხელმეორედ გაპრეზიდენტების მერე. მაგრამ სხდომა გადაიდო, ჟორდანია ავად გამხდარა, მის გარეშე კი ეს საქმე არ გამოვიდოდა. თუმცა არა უშავს, პრეზიდენტი მალე მომჯობინდება და სხდომის მცირე ხნით გადადებითაც არაფერი შავდება.

აი, ქართული ფეხბურთი როდის დადგება ფეხზე, ვერ მოგახსენებთ.

კი, ერთი მხრივ, რამდენიმე გუნდი წინა წლებთან შედარებით უკეთ თამაშობს, ნამდვილი მწვრთნელის ხელიც დატყობია და საჩემპიონო ბრძოლაც ასეთი დაძაბული არასდროს ყოფილა, მაგრამ იმ ფაქტს სად გავექცეთ, რომ არავინ უწყის, რამდენი გუნდი ჩაამთავრებს სეზონს?

„მეტალურგის“ ამბავი ვთქვათ: ზესტაფონელები იმას შენატრიან, ეგებ მეორე წრის დარჩენილი სამი თამაში როგორმე ჩაგვატარებინაო. მიზეზი ძველია — ამ ტურში მეტალურგები „ვიტ ჯორჯიას“ ხვდებიან და თბილისში ჩამოსასვლელი ფული არ აქვთ. არ ჩამოვლენ და, მოგეხსენებათ, რაც მოხდება — გუნდს უკვე ისედაც სამი ტექნიკური ნაგება დაუგროვდა და სათამაშოდ მეოთხედაც თუ არ გამოცხადდა, ფედერაცია შენყალებისა და არმოკვეთის საბაბს ველარ იპოვის, სამგ ზავრო ფულს იშოვის და, რად გინდა — ასეთ პირობებში როგორ ფეხბურთსაც ითამაშებს, თავად ხვდებით.

მერე კი მოხდება ის, რომ იგივე „ვიტ ჯორჯია“ და სხვა უფრო ნელგამართული ქართული გუნდები ევროსარბიელზე გავლენ და ადრეულ ეტაპებზევე ჩაფლავდებიან, რაკი მთელი ნელი შინაურ პირველობაზე წყალნალებულებთან უწევდათ გამოცდილების დაგროვება.

ამ პრობლემის ერთი ნაწილია ისიც, რომ „დინამოს“ თავკაცი ივო შუშაკი გამუდმებით ოღროჩოღრო მინდვრებზე წუწუნებს, რომლებზეც ნესიერად თამაში უბრალოდ წარმოუდგენელია და თუ რამეს მოიმკი, მხოლოდ ტრავმებს.

სხვა მხრივ კი ამ უქმეებზე ეროვნულ ჩემპიონატში ერთი გამორჩეული მატჩია — „ტორპედო“ „ლოკომოტივს“ მასპინძლობს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩახედეთ გათამაშების ცხრილს, რისთვის იბრძვიან ეს გუნდები, მერე გაიხსენეთ, როგორ დასრულდა „ლოკომოტივის“ ბოლო სტუმრობა ქუთაისში წინა სეზონის მიწურულს — გუნდი გუნდზე ჩხუბი, შეწყვეტილი თამაში, ორი გაძევებული რკინიგზელი, მოგერიებული პენალტი, ქვების წვიმა და პოლიციის ბადრაგით გარიდებული სტუმრები.

იმედია, ხვალ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, ომი კი მხოლოდ საფეხბურთო იქნება.

# საარაყო ამბავი

## ელცინს დალევის საბაბს რა გამოულევს





რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი ბორის ელცინი მარატ საფინის ჩაუქრობამ კარგ ხასიათზე დააყენა

აი, დაიწყო ფინალური ბრძოლა დევისის თასისთვის, მსოფლიოს წლევანდელი საუკეთესო საჩოგბურთო ქვეყნის გამოსავლენად. ფრანგთა ქვეყანაში რუსთა საქომაგოდ ჩავიდა ბორის ელცინი, ვინაც ეგებ ერთი ან რამდენიმე სირჩა არაყიც გადახუხა პირველ ორთაბრძოლაში მარატ საფინის პოლ-ანრი მათიოზე გამარჯვების აღსანიშნავად. მაგრამ მეორე წყვილში უკვე ფრანგთა ჯილამ სებასტიან გროჟანმა იმარჯვა, ევგენი კაფელნიკოვი სამ სეტში დასცა და ანგარიშიც გაათანაბრა. ეს კი ნიშნავს, რომ დევისის გვარიანად მოზრდილი თასის ახალი მეპატრონე დღევანდელ წყვილთა პარტიაში ვერ გაირკვევა, რაკი საბოლოო გამარჯვებას სამი მოგება სჭირდება და საკვირაო შერკინებები, ერთი მაინც, უთუოდ გაიმართება.

# ბატონი ავად გამხდარა

## აღმასკომი გადაიდო, ბაზა გადმოიდო

## ბლატერს ფედერაცია დიღომში ეპატიჟება

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის თავმჯდომარის, მერაბ ჟორდანიას ავადმყოფობის გამო გადაიდო. ახალი თარიღი კი ჯერჯერობით დაუდგენელია.

გუშინდელი აღმასკომი მერაბ ჟორდანიას ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემდეგ პირველი იქნებოდა და რამდენიმე საკითხთან ერთად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად რევაზ არველაძის დანიშვნასა და ფედერაციის ახალი ლოგოს მიღების თაობაზე უნდა ესაუბრათ. ზემოხსენებული მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა, თუმცა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ და ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ჟურნალისტებს დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის მახლობლად ეროვნული გუნდის მშენებარე საწვრთნელ ბაზაზე უმასპინძლეს. როგორც თქვეს, მუშებს დღელამე გასწორებული აქვთ და გეგმის მიხედვით, ბაზა პატრონს მარტში ჩაბარდება. ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნული გუნდი ირლანდიასთან 29 მარტის, შვეიცარიასთან 2 აპრილისა და რუსეთთან 30 აპრილის შესარჩევი მატჩებისთვის სწორედ ახალ ბაზაზე მოემზადება. პროექტის მიხედვით, სამსართულიანი კორპუსის ორი სართული უკვე აყვანილია, სავარჯიშო მოედნებზე დრენაჟის სისტემა დამონტაჟებულია და უახლოეს ხანში ბალახის თესლიც ჩაიყრება. ბაზაზე კეთილმოწყობილი 22-ადგილიანი სასტუმროს გარდა, იქნება აღდგენითი ცენტრი, სასადილო და ყველაფერი, რაც კი თანამედროვე ბაზისთვისაა აუცილებელი. ფედერაცია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობით კმაყოფილია და ბაზის გახსნაზე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის მოპატიჟებას აპირებს. ბაზა ხომ სწორედ ფიფას დახმარებით შენდება.



გურამ ცერცვაძის ფოტო

მერაბ ჟორდანია

**კობა ინასარიძე**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XV ტური

როიტლინგენი 2:4 დუისბურგი
ობერჰაუზენი 1:1 ალემანია
ვალდჰოფი 0:1 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIX ტური

ბაბელსბერგი 1:2 ფირლი
ლევერკუზენი (მ) 4:1 აუე
კიოლნი (მ) 4:1 მიუნსტერი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXI ტური

ზაარბრიუკენი 3:1 ოფენბახი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური

მეცი 4:0 კაენი

### ინგლისი

II დივიზიონი. XX ტური

ქუინზ პარკი 0:4 კარდიფი

### თურქეთი

XV ტური

ფენერბაჰჩე 2:0 ისთანბულსპორი

### ჰოლანდია

1 დივიზიონი. XIV ტური

როდა 2:0 ზვოლე

II დივიზიონი. XIV ტური

ტელსტარი 0:2 ვოლენდამი
დენ ჰააგი 3:1 იგლსი
კამბური 1:1 ჰელმონდი
დორდრეხტი 1:0 დენ ბოსხი
ეინდჰოვენი 0:2 ვენლო
სიტარდი 1:2 ჰაარლემი
ჰერაკლესი 2:3 ემენი
სპარტა 2:4 ოსი
მაასტრიხტი 0:2 ვეენდამი

### იტალია

სერია B. XIV ტური

ნაპოლი 0:0 პალერმო

### რუსეთი

თასის 1/16 ფინალი

დინამო (მახაჩკალა) 1:2დ.დ.(1:1) ლოკომოტივი



### დევისის თასი. ფინალი

მარატ საფინი (რუსეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:1, 6:4; სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:3, 6:0



ფრანგი სებასტიან გროჟანი ევგენი კაფელნიკოვის ძლევას ზეიმობს

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი 14

# 20 ტური

# ქუთაისამდე ჯანაშიამ ლექციაზე შეიარა

**წნორის „მილანის"** მეპატრონე ავთანდილ მანგოშვილი მეოთხე დღეა რეანიმაციულ განყოფილებაში წევს მწვავე ინფარქტის დიაგნოზით — ასეთი შედეგი მოჰყვა წინა ტურის „მილანი" — „მერანის" სკანდალურ მატჩს. ოთხშაბათს მანგოშვილი მსაჯებს გვარიანად შემოსწყრა, რაც მატჩის დასრულების შემდეგ ინფარქტის ჯაბაბი გახდა. „მილანის" მეპატრონე იმავე დღეს სასწრაფოდ გადმოიყვანეს თბილისში და დღემდე ექიმთა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა.

მანგოშვილს მთელი გუნდი გულშემატკივრობს, მწვრთნელ-ფეხბურთელები მთელი დღის განმავლობაში არ შორდებიან საავადმყოფოს და რაღა გასაკვირია, რომ სახვალიო ტურზე ნაკლებად ფიქრობენ. მიუხედავად ამისა, „მილანის" პრეზიდენტ მარიამ ფირცხალაიშვილის თქმით, გუნდი მაინც ჩავა ბათუმში სათამაშოდ — დანებებას არ ვაპირებთ, ჩვენ პრინციპებს არ ვუღალატებთ — ასეთია ქიზიყელთა პოზიცია.

საამტუროდ პრობლემები აქვს ზესტაფონის „მეტალურგსაც". უსახსრობამ სიქა გააცალა გუნდის ერთგულ მწვრთნელ ზაურ ჩუბინიძეს. ეს კაცი მწვრთნელიცაა, ექიმიც და ადმინისტრატორიც. დღესაც გამგებელს უნდა ეხვეწოს გუნდის მგზავრობისთვის საჭირო თანხას, თორემ უთუოდ დარჩება უფეხბურთოდ ზესტაფონი. ასეა, „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" თბილისში სათამაშოდ ჩამოსასვლელი ფული არა აქვს და თუ დღეს ზესტაფონის გამგეობა არ შეეწია ენთუზიასტ მობურთალებს, დასრულდება კიდეც ამ გუნდის წვალება. ჩუბინიძე იმედს არ კარგავს, ამბობს არ გაგვწირავენ და მეორე წრეს ჩავამთავრებინებენო, ვნახოთ. „ვიტ ჯორჯია" ალბათ სიამოვნებით ელის ასეთ გუნდთან თამაშს.

კატეგორიულია ივო შუშაკი — წლეულს დარჩენილი სამივე თამაში უნდა მოვიგოთო, ასეთი გეგმა დაუხაზა ხორვატმა „დინამოს" და რაღა გასაკვირია, რომ ფეხბურთელები ხვალ მასწავლებლის გახარებას შეეცდებიან. გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშეს ახალაიამ და კარლოსმა, ეს უკანასკნელი ათგზის ჩემპიონ „ტორპედოსთან" მატჩის განაცხადშიც ჰყავდა. მიუხედავად გუშინდელი ვარჯიშისა, „დინამოს" „მერანთან" ახალაია ვერ დაეხმარება, რაკილა „სინათლის" ოღროჩოღრო საფარი მის მოურჩენელ ფეხს მალამოდ ვერაფრით დაედება. მინდორზე გუშინ საგანგებოდ ისაუბრა ხორვატმა. შუშაკი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აქცევს მოედნის საფარს და რაღა გასაკვირია, ავჭალური სარბიელის გადამკიდეს დაეჩივლა.

რუსთავში ქვემოქართლური დერბია. „გორდა" — „სიონის" დაპირისპირებას ყოველთვის საინტერესოდ ჩაუვლია და ხანდახან სკანდალურადაც დასრულებულა. საამმატჩოდ ორივე გუნდს პრობლემები აქვს. სტუმრები იური გაბისკირიას და დავით გოდერძიშვილს მოისაკლისებენ, პირველი „ლოკომოტივთან" მატჩში დაშავდა და ფეხს იტკიებს, ტანმორჩილი მეგოლე კი შეუძლოდ არის და საეჭვოა, სახვალიოდ გამოჯანმრთელება შეძლოს.

„გორდას" ლაზარეთს კი სანდრო ბურნაძეც შეუერთდა, გამოცდილი მცველი ტრავმირებული ლაშა სილაგაძის, ზვიად ლაბაძის და ლაშა ალადაშვილის მსგავსად ვერ დაეხმარება თავისიანებს, თუმცა გეგუჩაძე ფიცხელ ბრძოლას ჰპირდება თემურ მახარაძის გუნდს. „გორდას" უკან დასახევი გზა არცა აქვს, რადგან სატურნირო ცხრილში ისეთ პოზიციაზეა, ზურგსუკან პირველი ლიგა რომ მოჩანს.

ბოლოს ტურის ცენტრალურ მატჩზეც ვთქვათ.

ქუთაისში „ტორპედო" — „ლოკომოტივია". ჩემპიონი ჩემპიონობის მაძიებლის წინააღმდეგ. რევანშის მოლოდინში არიან რიონისპირელები, კარგად რომ ახსოვთ ამ გუნდების ბოლო ქუთაისური მატჩი. მაშინ სკანდალურ შეხვედრაში სტუმრად მოგებით რკინიგზელებმა საჩემპიონო შანსი გაიჩინეს. იმ მატჩში მართლაც დიდი ამბები დატრიალდა, თბილისელები ზაზა ჯანაშიას გოლით დაწინაურდნენ, მერე კი ლომაია გააგდო არბიტრმა და პენალტი დანიშნა მასპინძელთა სასარგებლოდ, ამას სტუმართა გაწევ-გამოწევა მოჰყვა და ჯანაშიაც გასახდელში მიაბრძანა ფანიაშვილმა. მიუხედავად ამისა, „ტორპედომ" პენალტი ვერ გაიტანა, ორკაცნაკლულმა სტუმრებმა კი მატჩის გამარჯვებამდე მიიყვანა შეძლეს.



გურამ ცერცვაძის ფოტო

ზაზა ჯანაშიამ ლუის ცაკარიასს ვარჯიშის პირობა დაუდო

ზაზა ჯანაშია წინა სეზონში თუ უალტერნატივო იყო, ამჯერად შესაძლოა, ვერც კი ითამაშოს ქუთაისში. ჯანაშიას ბედს ცაკარიასი დღეს გადაწყვეტს, ულვაშა პერუელმა „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებთან ერთად გუშინ ჭკუისასწავლებელი ლექცია ჩაუტარა ჭირვეულ ფორვარდს. მწვრთნელს ერთადერთი მოთხოვნა აქვს — ფეხბურთელმა დისციპლინა არ უნდა დაარღვიოს და საგულდაგულოდ მოეკიდოს საქმეს. ჯანაშიამ კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ კარგად მოიქცევა და ცაკარიასმა მას ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამა გამოუწერა. ვნახოთ, თუ შეძლებს კვირამდე ჩამორჩენილი ჯანაშია გაცდენილის ანაზღაურებას, ეგებ ითამაშოს კიდეც. იმის თქმა კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარ შეხვედრებში ჯანაშიას შესაძლებლობები ფასდაუდებელია რკინიგზელთათვის.

ტურის ექვსივე შეხვედრა დეკემბრის პირველ დღეს დაემთხვა. ამ თვეში კი 14 საათზე თამაშობენ საქართველოში.

**ბაატა ძგანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 15 | 2 | 2 | 43:7 | 47 |
| ტორპედო | 19 | 14 | 3 | 2 | 42:11 | 45 |
| ლოკომოტივი | 19 | 14 | 1 | 4 | 32:9 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 13 | 1 | 5 | 31:12 | 40 |
| სიონი | 19 | 9 | 2 | 8 | 24:23 | 29 |
| კოლხეთი | 19 | 8 | 3 | 8 | 20:27 | 27 |
| მერანი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:32 | 20 |
| ბათუმი | 19 | 4 | 5 | 10 | 13:24 | 17 |
| მეტალურგი | 19 | 5 | 1 | 13 | 10:38 | 16 |
| დილა | 19 | 4 | 3 | 12 | 11:26 | 15 |
| მილანი | 19 | 3 | 4 | 12 | 11:37 | 13 |
| გორდა | 19 | 4 | 0 | 15 | 17:36 | 12 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 13 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - დარასელია | დინამო |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| კოშკაძე | მერანი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |
| 6 - დიდავა | ტორპედო |

თბილისი. შევარდენი. 1 დეკემბერი. 14 საათი

### ვიტ ჯორჯია — მეტალურგი

მსაჯები: ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

გორი. ცენტრალური. 1 დეკემბერი. 14 საათი

### დილა — კოლხეთი

მსაჯები: გ. კოკაჩიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუხაშვილი (სამივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბათუმი. დინამო. 1 დეკემბერი. 14 საათი

### ბათუმი — მილანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი. სინათლე. 1 დეკემბერი. 14 საათი

### მერანი — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდენიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ქუთაისი. ტორპედო. 1 დეკემბერი. 14 საათი

### ტორპედო — ლოკომოტივი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (წულუკიძე); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

რუსთავი. ფოლადი. 1 დეკემბერი. 14 საათი

### გორდა — სიონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე, ი. კახიანი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# უბრალოდ კარლოსი

## ყავა, ფეხბურთი, სამბა, სიყვარულის ისტორია და ცოტა, ცოტა ქართული



*სამი წლის კარლოს ჟუნიორი, 24-ის ალესანდრა, 29-ის კარლოს ალბერტო და როჩა – ოჯახი, რომლის უფროსიც საქართველოში ბრაზილიიდან სამუშაოდ ჩამოვიდა და თან ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა. ალბერტო და როჩა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელია, თუმც ეს გვარი რომ ახსენო, ბევრი ვერც მიხვდება, ვისზეა ლაპარაკი, უბრალოდ – კარლოსი, ასე უფრო იცნობენ ჩვენში ბრაზილიელს. მისი მომხიბლავი მეუღლე ალესანდრა უმუშევარია და მხოლოდ პატარა კარლოს ჟუნიორის აღზრდითაა დაკავებული*

— გამარჯობათ, როგორა ხართ? — გატეხილი ქართულით შეგვეგება დინამოელი ლეგიონერი და შინ მიგვიპატიჟა, ყურადღებიან, თბილ ოჯახში. სადარბაზოს საფეხბურებზე მეზობელს მიესალმა, ყველაფერი კარგადაა, თავისებურად დაამშვიდა და წინ გაგვიძღვა.

**— ქართული უკვე ისწავლეთ?**

— ცოტა, ცოტა.

კეთილგანწყობის ნიშნად გაგვიღიმა და მეუღლე გაგვაცნო.

— ეს ჩემი ცოლია, ალესანდრა, კარტველს ხომ ჰყავს?

ჩვენი მოსაუბრე ქართულ ბგერებს მთლად სწორად ვერ წარმოთქვამდა, უჭირდა და ინტერვიუც რუსულ ენაზე შედგა, თბილისში ჩამოსვლამდე ხომ კარლოსი რამდენიმე წელიწადი რუსეთში თამაშობდა. ჯერ მოსკოვში, მერე სამარაში, ბოლოს სუსხიან ტულაში.

**— ბრაზილიელი რუსულ კლიმატს როგორ ეგუებოდი?**

— და ვინ გითხრათ, რომ ვეგუებოდი? ერთი სული მქონდა, ვარჯიშის ან თამაშის დამთავრების შემდეგ შინ მივსულიყავი. ჩავიკეტებოდი და ცხვირს არ ვყოფდი გარეთ. პირველად მოსკოვში რომ ჩავედი და ვივარჯიშე, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, მოედანი მთლიანად დათოვლილი იყო და მწვრთნელმა პადკატის გაკეთება მომთხოვა, გასულელდა ეს კაცი-მეთქი, ვიფიქრე. სან პაულოში დაბადებულ-გაზრდილი როგორ ვიფიქრებდი გაყინულ მოედანზე პადკატის გაკეთებას. საერთოდ, რუსული ფეხბურთიც ესაა — მხოლოდ ძალა, დაარტყი და გაიქეცი, მეტოქეს დაეტაკე. საქართველო სულ სხვაა, აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. თბილისს უკვე მივეჩვიე, გზები ვისწავლე, მანქანით მოძრაობა აღარ მიჭირს. საქართველოში ძალიან თბილი, მეგობრული და ყურადღებიანი ხალხია.

**— მანქანით როცა მოძრაობ, ინსპექტორები არ გაჩერებენ?**

— ერთი-ორჯერ ინსპექტორებთან პრობლემა კი შემექნა, მაგრამ ახლა აღარ მაჩერებენ, ეტყობა, მცნობენ, თან არც მე ვარღვევ მოძრაობის წესებს. ბრაზილიაში ინსპექტორები როგორ არ არიან, თუმც იქ სხვაგვარადაა, თუ გაგაჩერეს, ჩათვალე, რომ მართვის უფლება ჩამოგართვეს.

— ყავას ხომ არ ინებებთ?

ალესანდრას შემოთავაზებულ ბრაზილიურ ყავაზე უარს აბა, როგორ ვიტყოდით...

**— სიამოვნებით. ქართული ყავა არ გაგისინჯავთ?**

— როგორ არა, რამდენჯერმე — გააგრძელა ალესანდრამ — მაგრამ ბრაზილიური ქართულს, რაც აქ იყიდება, ნამდვილად სჯობს... აი, დალიეთ და განსხვავებას თავადაც იგრძნობთ — არ დაამთავრებინა კარლოსმა მეუღლეს.

**— მეზობლები უკვე გაიცანით?**

მასპინძელმა გაიღიმა, ბავშვს გაეთამაშა.

— გავიცანი, რა ხანია. თითქმის ყოველ საღამოს ერთად ვატარებთ. მათ ხან ჩვენ ვსტუმრობთ, ხანაც ვეპატიჟებით. როცა კარგი ფეხბურთია, ტელევიზორს ერთად ვუყურებთ. ფეხბურთში ყველა ერკვევა.

**— განა ბრაზილიაში ასე არის?**

— კი, ნამდვილად. იქ უფეხბურთოდ ცხოვრება წარმოუდგენელია. ბავშვი როცა ფეხს აიდგამს, მშობლებიც მაშინვე ბურთს აჩვევენ. ყველა ეზოში, პლაჟის ყველა მონაკვეთზე მოედანია, მთელი დღე ახალგაზრდობა ბურთს დასდევს. ნებისმიერს რომ შესთავაზო მწვრთნელობა, უარს არ გეტყვის.

**— ყავა, ფეხბურთი... სამბას ცეკვავთ?**

— იმ ბრაზილიელისა რა ვთქვა, ვინც სამბა არ იცის. მე და ალესანდრაც ჩინებულად ვცეკვავთ. ასე არაა?

კარლოსი მეუღლისგან დასტურს დაელოდა, ალესანდრა სამზარეულოში გავიდა და ყავას დახედა, თავისებური ტექნოლოგიით რომ ამზადებდა. კარლოს ჟუნიორი კი ანცობდა, არ იქნა მისი გაჩერება.

— აქედანვე ეტყობა, რომ ფეხბურთელი იქნება, ბურთი სიგიჟემდე უყვარს, დალეწა ყველაფერი.

კარლოსს სახიდან ღიმილი არ შორდება.

**— ალესანდრაზე როდის დაქორწინდი?**

— ოთხი წლის წინ. რუსეთში სათამაშოდ რომ ჩავედი, რამდენიმე თვეში სან პაულუში დავბრუნდი და ალესანდრას ხელი ვთხოვე. როცა ერთმანეთი გავიცანით, 14 წლის ვიყავი, ალესანდრა ცხრის, მამაჩემმა სახლის ახლოს მაღაზია გახსნა. ალესანდრა ჩემი მეზობელი იყო დ თუ რაიმე დასჭირდებოდა მის ოჯახს, საყიდლებზე მამაჩემთან დადიოდნენ. ჩვენც ხშირად ვხვდებოდით. როცა წამოვიზარდეთ, ერთმანეთს სიყვარულში გამოვუტყდით, თუმც არ გვჯეროდა, ერთად ცხოვრება თუ შეგვეძლო, მე რომ რუსეთში წავედი, საცოლეც კი მყავდა, ალესანდრას — მეგობარი. მოგვიანებით მივხვდით, ურთმანეთოდ რომ გვიჭირდა და დავქორწინდით კიდეც. ალესანდრა ძალიან მიყვარს.

**— ალესანდრა, ძნელია ფეხბურთელის ცოლობა?**

— ძნელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდს მოსამზადებელი პერიოდი აქვს და უცხოეთში შეკრებაზეა.

— მეც ძალიან მიჭირს — ამბობს კარლოსი — მშობლები, ძმები, ცოლი, შვილი, მეგობრები, ყველას მონწყვეტილი ვარ, მენატრებიან-ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი პროფესია მაქვს და ალესანდრა ამას შეგუებულია.

**— ფეხბურთელ ქმარს ცოლი აკრიტიკებს?**

— მაშინ გიჟდება, როცა თავისუფალი ვარ და პასს არ მაძლევენ. ალესანდრა ჩემი დიდი ქომაგია. ყველა თამაშს ესწრება. შენიშვნებს იშვიათად მაძლევს. მოთმინებიდან კი მაშინ გამოდის, როცა ტელევიზორშიც ფეხბურთს ვუყურებ და იცის, სხვა არხზე სერიალია.

**— თქვენც სერიალების მოყვარული ხართ?**

— ვიცი, რომ სერიალებს ქართველი ქალებიც ხშირად უყურებენ. ბრაზილია სერიალების ქვეყანაცაა.

კარლოს ჟუნიორმა ყავიან ფინჯანს ხელი წაატანა, მშობლები შეეშველნენ და ბავშვმაც სიამოვნებით მოწრუპა დედის მოდუღებული. მასპინძლებმა გაოცება რომ შეგვატყვეს, კარლოსმა გააგრძელა.

— პრობლემა არ არის. კარლოს ჟუნიორისთვის დღეში ერთი ფინჯანი მავნებელი არ იქნება. ხომ ხედავთ, ყავა თავადაც სიამოვნებს.

**— ქართული კერძები დააგემოვნეთ?**

— ძალიან გემრიელი სამზარეულო გაქვთ. თავიდან კი გამიჭირდა. ბრინჯსა და ლობიოსაც კი ბრაზილიიდან მიგზავნიდნენ, მაგრამ ახლა ქართულ კერძებს გემო გავუგე. განსაკუთრებით ხაჭაპური მიყვარს.

**— ალესანდრამ ისწავლა ხაჭაპურის გამოცხობა?**

— არა, ჯერ სწავლობს, თუმც რაღაც-რაღაცეებს ქართულად კი ამზადებს.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

— შინ ვართ, ალესანდრასთან და კარლოს ჟუნიორთან ყოფნას არაფერი მირჩევნია. ბავშვი „მაკდონალდსში" დაგვყავს, ხანდახან კუს ტბაზეც ავდივართ და თბილისს ზემოდან გადმოვყურებთ. კარლოს ჟუნიორს უკვე ქართველი მეგობრებიც ჰყავს, მეზობელი გოგონები, ისინი უფროსები არიან, თუმც აგერ სკვერში ერთად თამაშობენ და მხიარულობენ. კარლოს ჟუნიორმა რამდენიმე ქართული სიტყვაც კი ისწავლა.

**— კარლოს, ფეხბურთზეც ვთქვათ? როგორ დაიწყო შენი კარიერა, თბილისის „დინამოში" როგორ მოხვდი?**

— 19 წლის ვიყავი, როცა „ეტუანში" ჩავირიცხე, თუმც მალე ბრაზილიის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდში გამნათხოვრეს. მაშინ თავდამსხმელად ვთამაშობდი და ჩემი გატანილი 17 გოლი გუნდს უმლიერესთა ლიგაში გადასასვლელად დაეხმარა. მერე სხვადასხვა დროს „კორინთიანსში" და „პორტუ ალეგრიშიც" ვთამაშობდი, სულ კი რუსეთში წასვლამდე რვა ბრაზილიური გუნდი გამოვიცვალე. მოსკოვის „ტორპედოში" სწორედ „პორტუ ალეგრიდან" მოვხვდი. რუსებს ნახევარმცველი სჭირდებოდათ და ერთმა ჩემმა მეგობარმა მოსკოველებს ჩემი თავი ურჩია. რუსები რამდენიმე მატჩისას დამაკვირდნენ და „ტორპედოში" მიმიწვიეს. ამ გუნდთან ერთად კი თბილისში უფრო ადრეც ჩამოვსულვარ, ინტერტოტოზე „ტორპედომ" „მერანი" რომ დაამარცხა.

**— ეგეც გახსოვს და ისიც, „მერანს" ერთი გოლი შენ რომ გაუტანე.**

— მართალია, კარგი გოლი იყო — კარლოსს თვალები ბავშვივით გაუბრწყინდა. მოკლედ შემომთავაზა — „ტორპედოს" მერე „კრილია სოვეტოვი" იყო, შემდეგ ტულის „არსენალი", თბილისის „დინამოს" კი კვიპროსზე ექვს მეგობარ ბრაზილიელთან ერთად შევუერთდი.

**— გული დაგწყდა, რომ შვიდიდან „დინამოში" მხოლოდ შენ დაგიტოვეს?**

— რა თქმა უნდა, ერთად მივედით და ექვსნი უკან გაუშვეს. ისინი კარგი ფეხბურთელები არიან.

**— თავდამსხმელი ყოფილხარ და მარჯვენა მცველის პოზიციაზე როგორ აღმოჩნდი?**

— ჯერ კიდევ „კორინთიანსის" მწვრთნელმა გამომცადა ამ ადგილას, სწრაფი ხარ და ფლანგზე თამაში უნდა გამოგივიდესო, მითხრა. მერე კი გივი ნოდიამ დამავალა მარჯვენივ თამაში. ეტყობა, ივო შუშაკსაც ნოდიამ ურჩია და დღემდე ამ პოზიციაზე ვარ. კარგად გამომდის? — მოულოდნელად იკითხა კარლოსმა.

**— მარჯვენაფლანგელ მცველთაგან საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ხარ. შენ არ ფიქრობ ასე?**

— რა ვიცი, რაკი რეგულარულად მათამაშებენ, მწვრთნელი ალბათ კმაყოფილია.

**— ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე?**

— კი, გამოვკეთდი. სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— „დინამოს" მიზანი ორი წლის მერე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრაა. როგორ ფიქრობ, რეალურია ამის მიღწევა?**

— „დინამოს" დიდი პოტენცია აქვს. გუნდში ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, მწვრთნელი კი მართლაც მცოდნე, გამოცდილი, მისი იმედი გვაქვს. მთავარია, გუნდური თამაში უკეთ ვისწავლოთ, შუშაკი სულ ამისკენ მიგვითითებს, რა მნიშვნელობა აქვს, გოლს მე გავიტან თუ სხვა, მთავარია, მოვიგოთ და კარგად ვითამაშოთ. მხოლოდ ინდივიდუალიზმით შორს ვერ წავალთ.

**— თბილისში ჩამოსვლამდე საქართველოზე რამე თუ გსმენოდა?**

— ბავშვი ვიყავი, როცა „დინამომ" თასების თასი აიღო, მაგრამ მაშინ თბილისი რუსეთი მეგონა, საქართველო სად იყო, არც კი ვიცოდი. მერე და მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, გავიგე, რომ „დინამო" ქართული გუნდი იყო, საქართველო კი — ქვეყანა.

**— მოგწონს აქაურობა?**

— მომწონს, აქ თავს კარგად ვგრძნობ. რუსეთს საქართველოს არც კი შევადარებ. აი, ნახეთ, საჩუქრებიც მივილე 19-ით დამშვენებული, „დინამოში" ხომ მე-19 ნომერი ვარ — კარლოსმა თაროდან თიხის ბურთი ჩამოიღო, ხელში შეათამაშა — სასიამოვნოა, როცა ხალხი პატივს გცემს.

**— ქუჩაში გცნობენ?**

— მცნობენ, როგორ არა. ხანდახან მაღაზიაში პროდუქტს იაფადაც კი მაძლევენ. „დინამოში" თამაშობ? მეკითხებიან-ხოლმე, როცა ვპასუხობ, კარლოს, წამოიძახებენ და იღიმიან — კარლოსმა ერთი თვითონაც წამოიძახა — კარგია საქართველო.

მეუღლეს ხელი გადახვია, ვაჟი შუაში ჩაისვეს და ასე კეთილგანწყობილნი დაგვემშვიდობნენ. ნაკვამლის — გაცრა კბილებში კარლოს ჟუნიორმა. ალალი თვალები გამოგვაყოლა და დედისკენ გაქანდა.

ასეთია და როჩების ოჯახი, ბრაზილიელებისა, რომლებსაც საქართველო მეორე ბრაზილიად წარმოუდგენიათ აკი, თავად კარლოსმა თქვა, ბევრი, ძალიან ბევრი გვქონია საერთო, უპირველესად, ბურთის სიყვარული...

**ქობა ინასარიძე**





# დაფიმ ზურა დააფიქრა

## უძირითადო ხიზანიშვილი რეინჯერსს ახსოვს

**შოტლანდიური** „დანდის" მწვრთნელმა ჯიმ დაფიმ თავისი გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, ზურაბ ხიზანიშვილს სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითა. მიზეზს ჯერჯერობით არც მწვრთნელი აკონკრეტებს და არც თავად ჩვენებურს სურს იფიქროს, რომ დაფი მას ბოროტი ზრახვების გამო არ ათამაშებს.

— ვფიქრობ და მწვრთნელის თანაშემწეებიც მიდასტურებენ, რომ ტრავმის შემდეგ ფორმა აღვიდგინე და ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებ. 90 წუთით თუ არა, ნახევარი საათით სათამაშოდ მაინც ვარ მზად და დაფის გამკვირვებია. ტრავმამოშუშებულს მისგან კომპლიმენტები, თბილი სიტყვები არ დამკლებია, მაიმედებდა და მეც იმედიანად ვიყავი. ბოლო ხანს კი ვგრძნობ, მწვრთნელის ჩემდამი ურთიერთობა გაცივდა. მიზეზზე ვერაფერს ვიტყვი. გამორიცხულია, დაფის „რეინჯერსთან" გაძევების გამო ავეთვალწუნებინე. მსაჯთან არ მიკამათია, შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია, არასპორტულად არ მოვქცეულვარ. სათამაშო ეპიზოდი იყო, ინერციისგან თავი ვერ შევიკავე და მეტოქესთან შეჯახებისთვის მსაჯმა გამაძევა. ჩემი გუნდის მწვრთნელს ყოველთვის პატივს ვცემ და არ მინდა, ვიფიქრო, რომ დაფიმ ძირითადს გარკვეული მოსაზრებების გამო განმარიდა.

ზურაბ ხიზანიშვილმა ეს თქვა, თუმც ჩვენს კითხვაზე — სხვა, უკეთეს გუნდში გადასვლის პერსპექტივას ხომ არ ანელებს დაფი — გვიპასუხა, გამორიცხული არ არისო.

ზურაბ ხიზანიშვილს შოტლანდიურ „დანდისთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ქართველი მცველი „დანდიმდეც" ბევრი კლუბის თვალთახედვის არეში იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მაშინ „არსენალი", „ჰერტა" და „ვესტ ჰემი" ზურასთან კონტრაქტის გაფორმებას მოერიდნენ, ახლა კი ბობოლა კლუბებს ქართველი მცველი გაახსენდათ და „დანდისაც" დაუკავშირდნენ. თავად ზურასთან საქმე ჯერ არავის დაუჭერია. ყველაზე მეტად კი შოტლანდიურივე „რეინჯერსი" აქტიურობს:

— ჩემთან საქმე ჯერ არავის დაუჭერია, თუმც თქვენი შოტლანდიელი კოლეგებისგან ვიცი, რომ „რეინჯერსსა" და ერთ-ერთ ევროპულ გრანდს სურს, თამაში მათთან გავაგრძელო. პირადად ჯერ არც აგენტი დამკავშირებია. ვიმედოვნებ, რომ მომავალი კლუბის ვინაობა იანვარში მეცოდინება. ვფიქრობ, ჩემი ზამთარში გაყიდვა „დანდისთვისაც" მომგებიანი უნდა იყოს, სეზონის დასრულებისთანავე ხომ თავისუფალი აგენტის სტატუსი მექნება და „დანდი" მხოლოდ საკომპენსაციო თანხას გამორჩება — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა.

**კობა ინასარიძე**

# ძველი ფორმატი ახალი ჩემპიონით

## ტორპედოს მესამე ლოკომოტივის პირველია

**ორი ტურიც** და საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდება. გუნდებიც ცოტას შეისვენებენ და საგაზაფხულო ფინალური ეტაპისთვის მზადებასაც დაიწყებენ. თუმც მანამდე ქვეყნის ჯერაც მოქმედ ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" დსთ-ს თასზე მოუწევს ძალის გამოცდა. ბევრისთვის ლამის საეჭვო პრესტიჟის ტურნირზე რიონისპირელები მესამედ დაიცავენ ქართული ფეხბურთის ღირსებას. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ქუთათურებმა მაშინდელი A ჯგუფიდან გავარდნილ თბილისის „დინამოს" გაუწოდეს „დახმარების ხელი" და B ჯგუფში გამარჯვებით კვლავ საუკეთესოთა შორის დაუბევეს ადგილი საქართველოს. აქვე ისიც სათქმელია, რომ ორგანიზატორებმა მოგვიანებით ისევ შეცვალეს რეგლამენტი და ყველა მონაწილე „ერთ ქვაბში მოხარშეს".

ნაახალწლევს ალექსანდრ შტელინის შეგირდებს შედარებით უფრო ძლიერ გუნდებთან მოუწევთ ჭიდილი. მაგალითად, ახლახან კენჭისყრისას გაირკვა, რომ ქუთაისის „ტორპედო" A ჯგუფში მოხვდა, სადაც მასთან ერთად რუსეთის ახალგამომცხვარი ჩემპიონი მოსკოვის „ლოკომოტივი", გაევროპელებული ყაზახეთის „ქენისი" და აზიური ყირგიზეთის პირველადგილოსანი ითამაშებენ. გეტყვით, რომ ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორი საუკეთესო გუნდი გავა.

ორიოდ სიტყვა სხვა ჯგუფებზეც ვთქვათ: უკრაინაში კიევის „დინამოს" ჰეგემონიის დამხობ დონეცკის „შახტარს" უზბეკეთის, ლიტვისა და აზერბაიჯანის ჩემპიონებთან მოუწევს საქმის დაჭერა. B ჯგუფში თანამეგობრობის თასის უცვლელი მონაწილე რიგის „სკონტო", ტაჯიკეთის „რეგარი", სომხური „პიუნიკი" და ბელარუსული ბატე მოხვდნენ. ხოლო ესტონეთის, მოლდოვისა და თურქმენეთის ჩემპიონები უკონკურსო და ამასთან ევროშესარჩევში ქართველ ოლიმპიელთა მეტოქე რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ითამაშებენ D ჯგუფში.

თამაშები მოსკოვში, „ოლიმპიისკისა" და „სპარტაკის" სპორტულ მანეჟებში ჩატარდება. პირველი ეტაპის მატჩები 18, 19 და 21 იანვარს გაიმართება, მეოთხედფინალები — 22 იანვარს, ხოლო ნახევარფინალები 24 იანვარს. ფინალური შეხვედრა 26 იანვარსაა დაგეგმილი.

საინტერესოა, რომ თანამეგობრობის თასს უთუოდ ახალი პატრონი ჩაიბარებს, რამეთუ ადრინდელი ჩემპიონები მოსკოვის „სპარტაკი" და კიევის „დინამო" ტურნირს გარეთ დარჩნენ. მოგეხსენებათ, ორივე საკუთარ ეროვნულ ჩემპიონატში ჩავლავდა და ნაახალწლევს მშვიდი დასვენება „გამოიწერა".

**კახა ზალამბერიძე**

# როგორ დაჭკვიანდა ლოკომოტივი

## ამბავი 400 ლარისა და პროფესიონალიზმისა

## გივი კვარაცხელია: ვარჯიშით ყველაფერი მოდის

*ხუთი წლის წინ იყო, გივი კვარაცხელია საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში რომ გამოჩნდა და ყურადღება მიიქცია — ღონიერი, კარგი ალნაგობის, ტექნიკური და ჯიგრიანი...*

*მას შემდეგ ამ ნიჭიერი ნახევარმცველის კარიერა აღმა-დაღმა წარიმართა. კვარაცხელიამ უცხოეთშიც მოსინჯა ძალა და საქართველოს საუკეთესო გუნდებშიც.*

*ახლა კი ის თბილისის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ხვალ ლუის ცაკარიასის ნაწრთობ გუნდს ერთობ რთული მატჩი ელის ქუთაისში „ტორპედოსთან" და კვარაცხელიასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ*



— რა თქმა უნდა, დაძაბული მატჩი გველის და ჩვენ ფრეზეც ყაბულს ვართ.

**— რატომ? „ტორპედომ" წინა ტურში ქულები დაკარგა და თუ „ლოკომოტივს" მართლა დიდი მიზნები აქვს, მხოლოდ გამარჯვება არ უნდა აძლევდეს ხელს?**

— წინა სეზონში ხომ „ტორპედოში" მომიწია თამაშმა და კარგად ვიცი, თუ რა არის ქუთაისში ჩასული გუნდისთვის იქ თამაში. „ტორპედო" შინ სულ სხვანაირად, ძალიან ძლიერად თამაშობს, თან საკუთარი გულშემატკივრების მხარდაჭერაც ეხმარება.

**— ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა „ლოკომოტივი"?**

— არა, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მხარეს, ყველა ფეხბურთელმა ძალიან კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობის თამაშია.

**— „ლოკომოტივის" პროგრესი აშკარაა — შენი აზრით, რა არის ამის საფუძველი?**

— ჩვენ გუნდში ისეთი კარგი ფეხბურთელები არიან, როგორებიც ახალგაზრდა მურთაზ ბურნაძე და დავით ხირაძე, გამოცდილი გიორგი ბალაშვილი და დავით ჭიჭველიშვილი... ერთი სიტყვით, „ლოკომოტივს" კარგი მწვრთნელი სჭირდებოდა, რომელიც გუნდს, ასე ვთქვათ, დაალაგებდა და ცაკარიასმა ეს შეძლო — ახლა ჩვენ ტაქტიკურად გაცილებით უკეთ გამოვიყურებით, უფრო ჭკვიანურად ვთამაშობთ. მატჩებს მხოლოდ კი არ ვიგებთ, არამედ, კარგი ხარისხის თამაშსაც ვაჩვენებთ. „დინამოსთან" რომ წავაგეთ, მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით, ხოლო შინ მოვუგეთ კიდეც.

**— შეძლებს „ლოკომოტივი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას „ტორპედოსთან" და „დინამოსთან", იმის გათვალისწინებით, რომ პირობებით საგრძნობლად ჩამოუვარდება ამ ორ გუნდს?**

— პირობებით კი ჩამოვუვარდებით ამ გუნდებს, მაგრამ ზემოთხსენებული ლოკომოტიველი ფეხბურთელების გარდა ჩვენ კიდევ გვყავს გიორგი ლომაია და ზაზა ჯანაშია. თუ ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ შეგვიძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

**— ბევრად ჩამოუვარდება პირობებით „ლოკომოტივი" „დინამოსა" და „ტორპედოს"?**

— ხელფასი 400 ლარი გვაქვს, პრემია 700-800 ლარი. „ლოკომოტივში" პირველ რიგში იმიტომ ვარ, რომ კარგ ფორმაში შევიდე, თორემ ფინანსურად, როგორც ხედავთ, აქ დიდი დაინტერესება არ არის.

**— ძველ ამბებზე გადავერთოთ. როცა 18-წლამდელთა ნაკრებში გამოჩნდი, გივი კვარაცხელიაზე ყველა ამბობდა, ნიჭიერიაო, თუმც ისე ვერ მოუმატე თამაშს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.**

— 18-წლამდელთა მაშინდელი მწვრთნელის, ვახტანგ კოპალეიშვილის მადლობელი ვარ, ყველა თამაშში რომ მენდო. ვფიქრობ, კოპალეიშვილს იმედი არ გავუცრუე. მერე კი მართლა დაღმასვლა მქონდა — თბილისის „დინამოში" კონკურენცია იყო და მეც გამიჭირდა მისი დაძლევა. თუმც, როცა რევაზ ძოძუაშვილმა „ლოკომოტივში" ამიყვანა (2000-01), დაკარგულის ამოქაჩვა დავიწყე. მაგრამ მერე შეცდომა დავუშვი — რიგის „სკონტოში" გადავედი — საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, უფრო მეტს შევიძენდი.

**— ასეთი ძნელი იყო „სკონტოში" და ლატვიის ჩემპიონატში თამაში?**

— ძნელი არ იყო, მაგრამ ჯერ ფეხი მოვიტეხე და 5 თვე გამიცდა. მერე ავთამაშდი და „სკონტომ" ჩემპიონობა და თასი რომ მოიპოვა, მეც დავიდე წვლილი. შემდეგ ის მომენტი იყო, რომ კლუბს ალეკო რეხვიაშვილი უნდა გაეყიდა და მის შემცვლელად მე მოვიაზრებოდი. მაგრამ რეხვიაშვილის ტრანსფერი გაჭიანურდა, მე კი სათადარიგოში ყოფნა არ მინდოდა — რეხვიაშვილის შემადგენლობიდან ამოგდება წარმოუდგენელი გახლდათ. ის ძალიან კარგად თამაშობს და ძალიან დიდი ავტორიტეტიც აქვს „სკონტოში". მეც ახლა იჯარით ვარ განათხოვრებული „ლოკომოტივში", ხოლო „სკონტოსთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს.

**— ამ ეტაპზე „ლოკომოტივიდან" წასვლაზე არ ფიქრობ?**

— არა, „ლოკომოტივიდან" წასვლას ნამდვილად არ ვჩქარობ. გუნდში ახლა კარგი, ნამდვილი პროფესიონალური ატმოსფეროა შექმნილი. თუ საქართველოს რომელიმე კლუბში გადავალ, მხოლოდ „დინამოში".

**— ჯერ კიდევ მაშინ, როცა 18-წლამდელთა ნაკრებში წარმოაჩინე თავი, შენი უმთავრესი ნაკლი სისწრაფის არქონა იყო — ეს არაერთ სპეციალისტს უთქვამს...**

— კარგია, რომ ნაკლზე მიმითითებენ და ვცდილობ, ეს გამოვასწორო. სხვათა შორის, ბოლო დროს ამ მხრივ საქმე უკეთესობისკენაა — ვარჯიშით ყველაფერი მოდის.

**— საყრდენი ნახევარმცველი ხარ, თუმც სხვა პოზიციებზეც გითამაშია. ყველაზე უფრო სად გრძნობ თავს მყუდროდ?**

— საყრდენის გარდა თავდამსხმელების უკან მითამაშია და წინა მცველადაც. ვფიქრობ, ნებისმიერ პოზიციაზე შევძლებ თამაშს.

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველად ვინ მიგაჩნია?**

— ალეკო გოგობერიშვილი, მაგრამ ის უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი და ჩემი ნება რომ იყოს, მას გამთამაშებლად ვათამაშებდი.

**— „ლოკომოტივის" პერუელ გამთამაშებელ რაფაელ გალიარდოზე რას იტყოდი?**

— გალიარდოს შეუძლია კრიტიკულ მომენტში საკუთარ თავზე აიღოს თამაში. ის მართლა კარგი ფეხბურთელია, თანაც რასაც მას ფეხებში ურტყამენ — უცხოელი რომ არის, ალბათ იმიტომ, გალიარდოს წინააღმდეგ განსაკუთრებული ჟინით თამაშობენ და წინა ტურში რუსთავის „გორდასთან" მატჩში მას ისე ეუხეშნენ, რომ ხვალ „ტორპედოსთან" ვერ ითამაშებს — ფეხი საშინლად აქვს გასიებული.

**— ჯანაშია იქნება „ტორპედოსთან"? მას ხომ ცაკარიასმა სასჯელი გამოუწერა რეჟიმის დარღვევისთვის.**

— ჯანაშია იქნება — ის დიდი შემართებით ვარჯიშობს. ჯანაშია თვითონ მივიდა ცაკარიასთან და თხოვა, მავარჯიშეთო — ხოლო, როცა, ჯანაშია მოინდომებს, მისი გაჩერება ძნელია. ერთი სიტყვით, ვარჯიში „ლოკომოტივში" ყველას უხარია, გუნდში სულ სხვა ატმოსფეროა. ცაკარიასმა იცის კონკრეტულ მატჩისას თუ როგორ მოგვამზადოს — 7 თამაშის მოგება შემთხვევითობა არ არის.

**— „დინამო", „ტორპედო" და „ლოკომოტივი" — ამ კონკრეტული მომენტისთვის ვინ არის უძლიერესი?**

— როგორც გუნდი, ყველაზე ძლიერი „ტორპედოა", მოთამაშეთა შერჩევის მხრივ კი „დინამო" და „ლოკომოტივი" არიან საუკეთესონი.

**— და რა პერსპექტივა ელის „ლოკომოტივს"?**

— გვითხრეს, დეკემბრიდან სოლიდური გუნდის შექმნა დაიწყება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო — და აქ იგულისხმება ყველაფერი — პირობების გაუმჯობესება, კარგი შეკრება, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება.



გივი კვარაცხელიას ლუის ცაკარიასის პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2002-2003
### UEFA CUP 1/16 ფინალი. პირველი მატჩები UEFA CUP

**შტურმი** (ავსტრია) 1:3 **ლაციო** (იტალია)
1:0 ამოა (45), 1:1 კიეზა (46), 1:2, 1:3 ინძაგი (57, 88)
შტურმი: ვებერი, მაელიხი, შტრაფნერი, ბრეჟეკი (მ. როიტერი 81), გოლემაცი, ანგანი, ვეტლი (კორსოში 60), მასუდი, საბიჩი, დაგი, ჩ. ამოა (დ. მუჟირი 76)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
15 400 მაყურებელი

**ვისლა** (პოლონეთი) 1:1 **შალკე** (გერმანია)
1:0 ბოულსენი (38ს.კ.), 1:1 ე. მპენზა (81)

**ბეტისი** (ესპანეთი) 1:0 **ოსერი** (საფრანგეთი)
1:0 ალფონსო (103)

**ბეშიქთაში** (თურქეთი) 3:1 **დინამო** (კიევი, უკრაინა)
0:1 რინკონი (29), 1:1 პანჩუ (31), 2:1 რონალდო გიარო (71ს.კ.), 3:1 ნუმა (82)

**ბრიუგე** (ბელგია) 1:2 **შტუტგარტი** (გერმანია)
1:0 ვან დერ ჰიდენი (42), 1:1 ბალაკოვი (71), 1:2 კურანი (89)
გაძევება: ბ. მარტენსი (70, ბრიუგე)

**ვიტესი** (ჰოლანდია) 0:1 **ლივერპული** (ინგლისი)
0:1 ოუენი (27)

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 2:2 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
0:1 ბასინასი (13პ), 1:1 ზბონჩაკი (44), 1:2 ოლისადებე (53), 2:2 სლოვაკი (85პ)

**დენიზლისპორი** (თურქეთი) 0:0 **ლიონი** (საფრანგეთი)

**ბორდო** (საფრანგეთი) 0:2 **ანდერლეხტი** (ბელგია)
0:1 იესტროვიჩი (9), 0:2 პასი (90)

**მალაგა** (ესპანეთი) 0:0 **ლიდსი** (ინგლისი)

**პაოკ** (საბერძნეთი) 1:0 **სლავია** (ჩეხეთი)
1:0 გეორგიადისი (51)

**აეკ** (საბერძნეთი) 4:0 **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი)
1:0 გეორგატოსი (13), 2:0 ნიკოლაიდისი (23), 3:0 8. პეტკოვი (30), 4:0 ზაგორაკისი (37)

**პორტუ** (პორტუგალია) 3:0 **ლანსი** (საფრანგეთი)
1:0, 2:0 პოსტიგა (37, 45), 3:0 იანკაუსკასი (87)

**სელტიკი** (შოტლანდია) 1:0 **სელტა** (ესპანეთი)
1:0 ლარსონი (52)

**პსჟ** (საფრანგეთი) 2:1 **ბოავიშტა** (პორტუგალია)
1:0 ნიარკო (17), 2:0 ფიორეზე (45), 2:1 კლაუდიუ (75)
გაძევება: დეუ (32, პსჟ)

**ჰერტა** (გერმანია) 2:1 **ფულემი** (ინგლისი)
1:0 ბაინლიხი (26), 1:1 მარლე (53), 2:1 საგა (68ს.კ.)



REUTERS

ვიტესი — ლივერპული. სტუმართა მეკარე ირჟი დუდეკმა ემილ მპამას ღრიალი არად ჩააგდო და ბურთს დაედევნა

# რადა ლაციო...
## სამი მატჩის სამყოფი მარტო ოუენმა შეირგო

**ამბობენ**, „ლაციოს" უჭირს, სერჯო კრანიოტის ფული შემოაკლდა და აქციებს ჰყიდისო. მყიდველიც ვერ უნახავს, ვალები კი ბლომად დაუგროვებიაო. რა გითხრათ, პრეზიდენტის გაჭირვება მის გუნდს სულ არ ეტყობა. „ლაციო" გაჭირვებანაჩვენებ გაქცეულს ჰგავს, მიჯრით იგებს თამაშებს.

ამ წრეში რომაელები მაინცდამაინც „შტურმს" გადაეყარნენ, რომელშიც უეფას თასს შემორჩენილი ერთადერთი ქართველია.

რობერტო მანჩინიმ ავსტრიაში უძლიერესი შემადგენლობა ვერ ჩაიყვანა. მთავარმეგოლე კლაუდიო ლოპესი სათადარიგოებში იჯდა. მასპინძლებმაც ხალისით დაიწყეს შეხვედრა და უმეტესად პერუცის უხდებოდა ოსტატობის გამოვლენა. „შტურმი" სწრაფი გოლის გატანას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს მოახერხა ჩარლზ ამოამ იტალიელთა დამწუხრება.

სიხარული ოდენ გასახდელში გაგრძელდა, რადგან შესვენების შემდეგ, ლივერანის პასით, ენრიკო კიეზამ მყისვე გაათანაბრა. ათიოდ წუთში სიმონე ინძაგიმ დამხვდურებს მეორეც გაუტანა, ხოლო „შტურმის" მწვრთნელმა ფრანკო ფოდამ დავით მუჯირი შეცვლაზე შეუშვა. მაგრამ რად გინდა, მატჩის ბოლო წუთებზე გოლი ისევ ინძაგიმ შეაგდო და მერვედფინალში გამსვლელის ვინაობაც ფაქტობრივად აქედანვე გადაწყვიტა.

ლაზათიანად წვიმდა ბრიუგეში, სადაც იქაური გუნდი ალმავლობის გზაზე შემდგარ „შტუტგარტს" დაუხვდა. ალბათ უფრო ავდრის გამო, პირველმა ტაიმმა უსახურად ჩაიარა. სველი ბურთის მორჯულება კი ვან დერ ჰიდენმა ტაიმის მილეულსღა შესძლო. მან ჩეხის პასი შეირგო და სტუმრებს 25 მეტრიდან გაუტანა.

გერმანელებმა მეორე ნახევარში უკეთესი ბურთაობა გააჩაღეს, რასაც შედეგიც მოჰყვა. ჯერ იყო და, მსაჯმა უხეშობისთვის მასპინძელი ბირგერ მარტენსი გააძევა. კრასიმირ ბალაკოვმა კი ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გაათანაბრა. მერე კი, როცა უკვე მსაჯი საფინალოდ ჩასასტვენად ემზადებოდა, კევინ კურანმა „შტუტგარტის" გამარჯვების გოლიც შეაგდო.

ტრანდ სოლიედი, მასპინძელთა მწვრთნელი: „მეორე ტაიმში მეტოქემ დაგვჯაბნა, თუმცა ფრეს მაინც ვიმსახურებდით. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება."

ფელიქს მაგათი, გამარჯვებულის თავკაცი: „თავიდან გაგვიჭირდა. როცა გაგვიტანეს, იძულებულნი გავხდით, მეტი თავგანწირვით შეგვეტია და ტაქტიკაც შესაბამისად გადავაწყვეთ. ახლა დამშვიდებული ვარ, რადგან ერთბურთიანი უპირატესობა ამის უფლებას მაძლევს."

ათენში ჩემპიონთა ლიგიდან ჩამოუეფებულნი დაეჯახნენ. ჰაიფას „მაკაბი" უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდა — იაკუბუ აიგებენას დებიუტშივე შეეძლო, თერთმეტმეტრიანით დაეწინაურებინა თავისი გუნდი, მაგრამ ბერძენთა მეკარემ, ხიოტისმა იმარჯვა.

ამ მომენტმა მასპინძლები გამოაფხიზლა და ორიოდ წუთში გეორგატოსმა დაიწყო და ოცდაოთხწუთიან მონაკვეთში ებრაული გუნდის კარიდან ოთხჯერ გამოიტანეს ბურთი. ეს აფეთქება სავსებით საკმარისი გამოდგა „მაკაბის" დასაშამათებლად. სტუმრები პრესტიჟის გოლის გატანას ეცადნენ, მაგრამ იმაზეც ფიქრობდნენ, უფრო საშინელი ანგარიშით არ დამარცხებულიყვნენ, ერთი სიტყვით, შეტევაში უკანმოუხედავად არ მიდიოდნენ. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, აეკ-მა მერვედფინალში გააღწია, თუმცა „მაკაბის" თვით „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" გაუტანია სამი გოლი და ბერძნების დამშვიდება ჯერ ადრეა.

იცხაკ შუმი: „პენალტი რომ გაგვეტანა, საქმე სხვაგვარად წავიდოდა, მერე კი მეტოქემ თითქმის ყველა მომენტი გოლად აქცია. ისღა დამრჩენია, აეკ-ს გამარჯვება მივულოცო, მაგრამ საპასუხო მატჩი წინაა და ყველაფერი იქ გადაწყდება."

ლიბერეცში „ფენერბაჰჩეს" დამფრენი „პანათინაიკოსი" ჩავიდა. ათიოდ წუთში იშტაზე მოსული ემანუელ ოლისადებე ჩეხთა საჯარიმოში პეტრ იოჰანმა დასცა და ანგელოს ბასინასმა თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა. დამხვდურთაგან თბილისში ვერჩამოსული, განელი ფორვარდი გიანი აქტიურობდა. სწორედ მისი პასი შეირგო პირველი ტაიმის მიწურულს ზბონჩაკმა, რომლის დაკრულითაც გათანაბრდა.

ანტრაქტის შემდეგ ისევ სტუმრებმა შეუტიეს. ამჯერად ბასინასის ჩაწოდებით ოლისადებემ იხეირა, მაგრამ დამხვდურებს მონდომება და გარჯა მაინც დაუფასდათ. შეხვედრა როგორც დაიწყო, ისევე დასრულდა — პენალტით, ოღონდ მატჩის მიწურულს უკვე ლიბერეცელმა სლოვაკმა შეაგდო.

სერხიო მარქარინი, ბერძენთა მწვრთნელი: „ორივე გუნდმა საკმაოდ კარგად ითამაშა და ვფიქრობ, შედეგიც სავსებით ლოგიკურია."

სტამბოლში „ბეშიქთაშისთვის" მატჩი ავად დაიწყო. კიევის დინამოელმა რინკონმა ნახევარ საათში სტუმრები დააწინაურა, თუმცა რუმინელმა პანჩუმ ორიოდ წუთში გაქვითა და „შავმა არწივმაც" („ბეშიქთაშის" მეტსახელია) ფრთების ტყლაშუნი ატეხა. თურქთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა რონალდო გიარომ მეორე ნახევარში სტამბოლელები დამწინაურებელი გოლით გაახარა. თავისი სიტყვა თქვა კარგა ხანს დაკარგულმა პასკალ ნუმამ, რომელმაც „ბეშიქთაშის" გამარჯვებას სოლიდური სახე მისცა.

გოლის გამტანი ნუმა მწვრთნელს, მირჩა ლუჩესკუს მიეჭრა და თითები ისე დაულოშნა, რომ რუმინელს ალბათ ერთი კვირა ხელების დაბანა არ დასჭირდება. თურქული გუნდის პრეზიდენტი კი ფეხბურთელებს 25-25 ათას დოლარს დაჰპირდა, თუ მერვედფინალში გააღწევენ.

არნემში „ვიტესმა" „ლივერპულთან" მართლაც საპატიო ანგარიშით წააგო, რადგან ინგლისელებმა იმდენი მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან, ბარე სამ თამაშს ეყოფოდა. ლივერპულელები „ვიტესის" მეკარესთან რამდენჯერმე პირისპირ დარჩენ, მაგრამ იმ დღეს მხოლოდ მაიკლ ოუენს ეწერა გოლის გატანა.

ვინ, თუ არა ჰენრიკ ლარსონი? შვედმა მეგოლემ გაჯიქებული „სელტას" მორჯულება მაინც მოახერხა. ერთბურთიანი ფორა გლაზგოელებს ვერ დაამშვიდებს, მაგრამ თუ „ბლექბერნს" გავიხსენებთ, „სელტიკი" სტუმრადაც კარგად თამაშობს.

„ლანსი" საკუთარი მეკარის შეცდომებს შეეწირა, ვარმუზმა ისეთი ბურთები გაუშვა, უარესს ძნელად წარმოიდგენთ.

„ლანსის" მსგავსად, ხელი მოეცარა კიდევ ორ ფრანგულ გუნდს — „ოსერმა" მინიმალურად წააგო სევილიაში, სადაც „ბეტისი" ალფონსოს ერთადერთ გოლს დასჯერდა, ხოლო „ბორდომ" ბელგიური ანდერლეხტისგან" მოულოდნელი მარცხი იწვნია.

**მაჟა ხუციშვილი**

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა. პული. სნუკერი
აქსესუარები Zeus ნევსი
- ქია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- ბურთის ბანათება 187 GEL
- ქიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- შალითები ქიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დამზადება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, მიწოდება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა



REUTERS

შტურმი — ლაციო. მუჯირის თანაგუნდელი ეკრემ დაგი ლაციოელ პაოლო ნეგროს კი გადაახტა, მაგრამ ვინძლო, შორს ვერ წავა



# ჩინებულია, ბრწყინვალეა!

## ლუიშ ფელიპე სკოლარი გულს მიენდო

მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი ამიერიდან პორტუგალიის ნაკრებს უხელმძღვანელებს.

„პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ სკოლარისთან შეთანხმებას მიაღწია, რის შედეგადაც, იგი ნაკრების ტექნიკურ და საორგანიზაციო ხელმძღვანელობას ჩაიბარებს 2003 წლის იანვრიდან 2004 წლის ივნისამდე" — წერია ამ ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებაში.

რა გამოდის? გამოდის, რომ „დიდი ფილი" ევრო 2004-ს მასპინძელ მწვრთნელად მოევლინება.

„ჩინებულია, ბრწყინვალეა, ბედნიერი ვარ! — განაცხადა სკოლარიმ — ქუვეითის ნაკრებთან ერთად სპარსეთის ყურის თასი მოვიგე, „პალმეირასთან" და „გრემიოსთან" ერთად ლიბერტადორესის თასი, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ასე, რომ გულს ევროპის ჩემპიონობა მაკლია. სწორედ ეს მიძლიერებს ინტერესს."

ამრიგად, სკოლარი თანამდებობაზე აგოსტინო ოლივეირას შეცვლის, რომელიც პორტუგალიელთა ხელმძღვანელის მოვალეობას ანტონიო ოლივეირას გადადგომის შემდეგ ასრულებდა.

„რამდენიმე პორტუგალიელ ფეხბურთელს უკვე ველაპარაკე, კლუბებში ვესტუმრე და მათი თანადგომა მივილე. ისინი გამოცდილი, გამარჯვებისთვის მებრძოლი მოთამაშეები არიან და შეუძლიათ ნაკრებშიც იგივე წარმატებას მიაღწიონ, როგორისთვისაც კლუბებში მიუღწევიათ" — დასძინა სკოლარიმ.

ბრაზილიელის კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე არაფერია ცნობილი, თუმცა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციიდან გამოაღწია ხმამ, რომ მისი ხელფასის გადახდას სპონსორის მოძიება დასჭირდება. პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ საუბარი თვიურ 150 ათას ევროს ეხება.

**დაიბადა 1948 წლის 9 ნოემბერს პასო ფუნდოში, ბრაზილიის სამხრეთში, რიო გრანდე დუ სულის შტატში**

**1967:** ჰქონდა დებიუტი „აიმორში", მშობლიური შტატის პატარა კლუბში, სადაც მან მალევე მოიპოვა ლიდერობა და კაპიტნის სამკლავური

**1973:** გადავიდა „კაშიაზში", რიო გრანდეს მეორე კლუბში, სადაც ცენტრალური მცველის პოზიციაზე გაამწესეს და მალე კაპიტნობაც ჩააბარეს

**1982:** „ნოვო ჰამბურგოსა" და „ჟუვენტუდეში" რამდენიმეთვიანი თამაშის შემდეგ მოთამაშის კარიერა დაასრულა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი

**1984-85:** წვრთნიდა თავის კარიერაში პირველ არაბრაზილიურ კლუბს — საუდის არაბეთის „ალ შაბაბს"

**1987:** დაბრუნდა ბრაზილიაში და სათავეში ჩაუდგა თავის ყოფილ კლუბ „ჟუვენტუდეს". ამას მოჰყვა „გრემიოსა" და „გოიას" დამრიგებლობა

**1988-89:** კვლავ წავიდა შუა აღმოსავლეთში, ქუვეითის „ალ კადსიაში"

**1990:** წვრთნიდა ქუვეითის ნაკრებს

**1991:** დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა მეორე დივიზიონის ბინადარ „კრიკიუმს", რომელთან ერთადაც ბრაზილიის თასი მოიპოვა

**1993:** გადავიდა „გრემიოში"

**1994:** მოიგო ბრაზილიის თასი

**1995:** მეორედ გაიყვანა „გრემიო" ბრაზილიის თასის ფინალში, სადაც „კორინთიანსთან" დამარცხდა. ამ გუნდთა პირველი ფინალური მატჩისის დროს მოწინააღმდეგე მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ცემა

**1995:** „გრემიოსთან" ერთად ლიბერტადორესის თასი მოიგო

**1996:** „გრემიოსთან" ერთად კიდევ ერთი, ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა

**1997:** დატოვა „გრემიო" და იაპონიაში გაემგზავრა, სადაც „ჯუბილა ივატას" მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა იქ სულ ექვსი თვე დაჰყო, მის საქმიანობაში კლუბის ხელმძღვანელობის აქტიური ჩარევის გამო. შემდეგ ბრაზილიაში დაბრუნდა და „პალმეირასს" შეუერთდა, რომელიც ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც „ვასკუ და გამასთან" დამარცხდა

**1998:** მის ბიოგრაფიაში შავი ლაქა გაჩნდა. ჟურნალისტს, რომელმაც უსიამოვნო შეკითხვა დაუსვა და „პალმეირასის" ძალისმიერი თამაშისთვის გააკრიტიკა, ერთი-ორი უთავაზა. ამავე წელს მერკოსურის თასი მოიგო

**1999:** „პალმეირასს" ლიბერტადორესის თასის მოაპოვებინა, რაც პირველად მოხდა კლუბის ისტორიაში. ფინალში კოლუმბიური „დეპორტივო კალი" დაამარცხა

**2000:** კიდევ ერთხელ მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში სატელევიზიო გამოსვლის გამო, რომლის დროსაც მან აღიარა, ფეხბურთელებს, მოწინააღმდეგესთან უხეშობას ვავალებო. ისიც გამჟღავნდა, რომ „ფლამენგოსთან" მატჩისას მან ბურთის მომწოდებელი ბიჭები დაარიგა, მეტოქის შეტევისას მოედანზე ბურთები გადმოეყარათ. ამ წელს „პალმეირასი" კვლავ გავიდა ლიბერტადორესის თასის ფინალში, თუმცა „ბოკა ხუნიორსთან" დამარცხდა

**2001:** გადავიდა ბელუ ორიზონტეს „კრუზეიროში". ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალში ყოფილ გუნდთან, „პალმეირასთან" დამარცხდა. ივნისში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა (ნაკრების მეოთხე დამრიგებელი ერთ წელიწადში). დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. გუნდმა პირველი ხუთი თამაშიდან სამი წააგო, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა ურუგვაის ნაკრებთან და მეოთხედფინალი ჰონდურასთან, კოპა ამერიკას გათამაშებისას. პარაგვაისთან შეხვედრის დროს მსაჯის შეურაცხყოფისთვის გააძევეს. მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა და 2002 წლის მუნდიალის საგზური მოიპოვა

**2002:** მიუხედავად საყოველთაო აღიარებისა და პოპულარობისა, მაინც ჰქონდა პრობლემები, რაც პირველ რიგში სანაკრებოდ ფეხბურთელთა შერჩევასთან იყო დაკავშირებული. თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ფერნანდო ენრიკე კარდოზომ გააკრიტიკა ვეტერანი თავდამსხმელის, რომარიოს გამოუძახებლობის გამო. ასევე ყბადაღებულ თემად იქცა მისი სათამაშო ტაქტიკა 3-5-2. თუმცა მან ბრაზილია მეხუთედ გააჩემპიონა. ივლისში ხმამაღალი განცხადებები გააკეთა პელესა და რონალდოსთან დაკავშირებით. მისი თქმით, პელეს არაფერი გაეგება ფეხბურთის, ხოლო რონალდომ გუნდური თამაში უნდა ისწავლოს და უბრალოდ, გაფუჭებული ბავშვიაო. აგვისტოში პოსტი დატოვა და ევროპაში მუშაობის სურვილი გამოთქვა

**2002, 28 ნოემბერი:** პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნა

# წაგებული მეღვინეები და მოგებული ყმაწვილები

**ბრაზილია**

**პლეი ოფი. 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**სან პაულუ 1:2 სანტოსი (1:3)**
**კორინთიანსი 2:1 ატლ. მინეირო (6:2)**
**სან კაეტანო 2:0 ფლუმინენსე (0:3)**
**ჟუვენტუდე 0:1 გრემიო (0:0)**

**„კორინთიანსი"** სულ იოლად გავიდა საერთობრაზილიური პირველობის ნახევარფინალში. იოლად გავიდოდა, აბა რა, საპასუხო მატჩი, რომელიც 2:1 მოუგო „ატლეტიკო მინეიროს" ვარჯიშს ჰგავდა. მეოთხედფინალის პირველ მატჩში კარლოს ალბერტო პარეირას შეგირდებმა სტუმრად, ბელუ ორიზონტეში 6:2 მოუგეს „ატლეტიკოს" და ამ შედეგს აბა, ვინ მოატრიალებდა.

საერთოდ კი, „კორინთიანსი" წლევანდელი სეზონის ლაურეატი გუნდია. გაზაფხულზე მან უკვე მოიგო ბრაზილიის თასი და რიო-სან პაულუს შეჯიბრი. ამის შემდეგ პარეირას გუნდის გადახალისება მოუხდა, რადგან საუკეთესო ფეხბურთელი რიკარდინიო ძველ მეტოქეს, „სან პაულუს" მიჰყიდეს.

„კორინთიანსისთვის" უცხო არც საერთობრაზილიური ტიტულია, 1998-99 წლებში ეს შეჯიბრი ზედიზედ მოიგო.

ახლა პერეირას გუნდი ორმატჩა ნახევარფინალში ელის ჩემპიონატს შემორჩენილ ერთადერთ დიდ რიოულ კლუბს, „ფლუმინენსეს".

სეზონის უხეიროდ დამწყებმა „ფლუმ" იმდენი მოახერხა, რომ აგერ სადამდე გააღწია და ორმატჩა მეოთხედფინალში ლიბერტადორესის თასის ფინალისტ „სან კაეტანოს" — საუცხოო პატარა კლუბს — აჯობა. ბოლო ორი წელიწადი იყო, „სან კაეტანო" საერთობრაზილიური ჩემპიონატის ფინალებში მარცხდებოდა, ახლა კი მეოთხედფინალიდან გავარდა.

„ფლუს" 3:0 მოეგო პირველი მატჩი, რომარიოს ბრწყინვალე თამაშით და მეორეში კი უნდა გაეძლო. „სან კაეტანომ" უკვე მე-15 წუთზე ამოიღო ერთი ბურთი, დანიელის გოლის წყალობით. მეორე ტაიმის პირველივე წუთზე კი მანგაომ სადაოდ გამხდარი პენალტი გაიტანა და მასპინძლებს ერთი ბურთიღა დარჩათ გასაქვითი, რათა დამატებითისთვის მიეღწიათ, მაგრამ დამატებითი არ ყოფილა — „ფლუ" ნახევარფინალში გავიდა.

„ფლუმინენსეს" მწვრთნელ რენატო პორტალუპის ოცდღიანი სასჯელი ადევს და ტრიბუნიდან უცქერდა მატჩს, რომარიომ კი ორჯერ-სამჯერ თუ მიილო ბურთი.

ნახევარფინალში გააღწია პორტუ ალეგრის „გრემიომაც", რომელსაც შინ 0:0 ეთამაშა „ჟუვენტუდესთან", გასვლაზე კი სეზარის ერთადერთი გოლით მოიგო.

მძიმე საცქერი თამაში მიმდინარეობდა კაშიაში, ბრაზილიის კახეთში, იქაური ღვინის სამშობლოში, სადაც მეღვინე „ჟუვენტუდეს" ბარე სამი ბურთით უნდა წაეგოთ, მაგრამ მათმა მეკარე დიეგომ ივაჟკაცა.



ტიტეს გაწვრთნილმა „გრემიომ" მეღვინეები დაიბრიყვა

„გრემიო" კი მოელის ახალგაზრდულ და ყოჩაღ „სანტოსს", რომელმაც მეოთხედფინალიდან დაითხოვა ერთწრიანი შეჯიბრის მომგები, პირველადგილოსანი „სან პაულუ". „სანტოსმა" კიდევ ერთხელ მოახდინა სენსაცია. შინ 3:1-ზე გამარჯვების შემდეგ სტუმრადაც მოუგო „სან პაულუს", 2:1. გამარჯვების გოლი 92-ე წუთზე გაიტანა ყრმა დიეგუმ, ანუ მაშინ, როცა მასპინძლებს უკვე ყურები ჩამოეყარათ.

**კარლუშ კუზკაიშ კეირუში**

**ნახევარფინალის წყვილსყრა**

**სანტოსი — გრემიო; ფლუმინენსე — კორინთიანსი**

# ძველი შეცდომა და ახალი იმედი

## შეხვედრის ადგილი შეცვლილია

**ჩემპიონთა თასის** მფლობელი მადრიდის „რეალი" გუშინ იაპონიაში ჩაფრინდა და სამშაბათს იოკოჰამას სტადიონზე პარაგვაულ „ოლიმპიას" საკონტინენტთაშორისო თასს შეეცილება.

ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საკლუბო ჩემპიონთა სათასო მატჩი (ერთ ხანს ორი მატჩი იყო) 1960 წლიდან იმართება, ხოლო 1980 წლიდან მას სპონსორობას „ტოიოტა" უწევს, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშეს ავტომობილით დააჯილდოებს და გრძელი სიტყვის — საკონტინენტთაშორისოს — ნაცვლად, „ტოიოტას" თასს ეძახიან, გამართვის ადგილმა კი ტოკიოში გადაინაცვლა. ახლა პირველად იმართება იოკოჰამაში, მუნდიალის ფინალის მასპინძელ სტადიონზე.

მადრიდის „რეალი" ამ თასის პირველი მფლობელია, საერთოდ კი ოთხჯერ უთამაშია და ორჯერ უმარჯვია.

ბოლოს მადრიდელებმა თასი 1998 წელს ასწიეს, ხოლო დალონებულებმა მოედანი ორი წლის უკან, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან" მატჩის შემდეგ დატოვეს.

„მაშინ „ბოკასთან" საშინლად ვითამაშეთ და მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებთ — განაცხადა მადრიდელთა თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ — მეტოქე ანგარიშგასაწევი გუნდია და გამარჯვებისთვის დიდი ბრძოლა გველის."

მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელის ზინედინ ზიდანის აზრით კი, „რეალის" გამარჯვება გუნდის შელახული რეპუტაციის აღსადგენადაა საჭირო. „ბოლო მატჩები საშინლად ჩავატარეთ და გულშემატკივრები გავანაწყენეთ, „ოლიმპიასთან" გამარჯვებით კი მათ ნდობას დავიბრუნებთ" — თქვა ფრანგმა.

„ოლიმპიასთან" მატჩში „რეალს" ვერ დაეხმარებიან ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო, გუნდის კაპიტანი იერო, მაკელელე, რაულ ბლანკო და გუტი, თუმცა მადრიდელთა თავკაცი დელ ბოსკე იმედს არ კარგავს და დაშავებულ ფეხბურთელებს სხვა მოთამაშეებთან ერთად ავარჯიშებს, იქნებ ორშაბათისთვის მომჯობინდნენო.

„ოლიმპიამ" ერთხელ უკვე მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი და, როგორც ჩანს, სერიოზული გუნდია, ამიტომ მთელი 90 წუთი ყურადღებით უნდა ვითამაშოთ, თასი ესპანეთში უნდა დავაბრუნოთ" — დაიქადნა ფერნანდო იერომ.

პარაგვაის „ოლიმპიას" ამ თასისთვის ორჯერ უთმია. 1979 წელს შვედურ „მალმოს" 2:1 სძლია, ხოლო 1990 წელს „მილანმა" 0:3 გაანადგურა.

**ლუკა გიგიბერიძე**

# უემბლი კამპ ნოუზე

## ჯონ ბონ ჯოვის 12 სკამი

*უკანასკნელი მატჩი ჯერ გამართულიც არ იყო, როცა ინტერნეტში აუქციონის ონლაინი გაიხსნა — იყიდება „უემბლი", ნაწილ-ნაწილ და იაფად! ეს 2000 წლის აგვისტოში მოხდა, სექტემბერში კი დიტმარ ჰამანმა დევიდ სიმენს შორიდან გაუტანა, გერმანიამ კიგანის ინგლისი 1:0 დაამარცხა და ლეგენდარული „უემბლის" სტადიონიც დაიხურა*

**მას მერე** ორ წელიწადზე მეტი გავიდა, თუმცა „უემბლის" ყველაზე ცნობილ ღირშესანიშნაობასთან, „ტყუპ კოშკთან" ფოტოს გადაღების მსურველებს კიდევ აქვთ დრო, თავისი წადილი აისრულონ — გერმანული ბულდოზერი „თვით თაუერსს" 16 დეკემბერს მიადგება და ნიუიორკელი სეხნიის დარად მტვრად აქცევს (ცხადია, მსხვერპლის გარეშე). ამ კოშკების დემონტაჟი და სხვაგან გადატანა უბრალოდ შეუძლებელი გამოდგა, თორემ დიდი შანსი იყო, ისინი მომავალ წელს „კამპ ნოუზე" გვეხილა. დიახ, „უემბლის" ყველაზე ცნობილი „ნაწილები" სწორედ რომ ბარსელონაშია, ოღონდ მათი მფლობელი არა „ბარსელონას" საფეხბურთო კლუბი, არამედ ამ კლუბის მუზეუმის კურატორი, ბატონი პაბლო ორნაკე გახლავთ. სწორედ ამ კაცმა შეიძინა ბოლო მატჩის ორივე კარი, 1923 წელს დამონტაჟებული და დღემდე შემორჩენილი 102 სკამიდან 75 (თითო 400 გირვანქად) და სამეფო ლოჟისკენ მიმავალი კიბის 39 საფეხურიდან ერთი (3 300 გირვანქად).

რატომ ორნაკე და „ბარსელონა"? გავიხსენოთ, რომ 1992 წელს სწორედ „უემბლიზე" მოიპოვა „ბარსამ" თავის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჩემპიონთა თასი და კატალონიელთა ინტერესიც ნათელი გახდება. ოღონდ დავაზუსტოთ, რომ პაბლო ორნაკემ ეს ყველაფერი თავისი ხარჯით შეიძინა საკუთარი კოლექციისთვის და „კამპ ნოუზე" არსებულ „ბარსელონას" მუზეუმს (1,2 მილიონი დამთვალიერებელი წელიწადში) მხოლოდ დროებით ათხოვებს.

ცხადია, ბევრი რამ თავად ინგლისში დარჩა. პრესტონში არსებულ ფეხბურთის მუზეუმში გამოიფინება 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი, ამავე ოლიმპიადის ჩემპიონთა ოქროს მემორიალური დაფა და ის ძელი, რომლისგან ასხლეტილმა ბურთმა



„უემბლი" მთელ მსოფლიოში გაიფანტა

გადაკვეთა თუ არა გერმანელთა კარი, მსოფლიო ფეხბურთის დღესაც გაურკვეველი კითხვაა — ჯეფრი ჰერსტის 1966 წლის ფინალში გატანილ გოლზეა საუბარი.

ზემოთნახსენები 102 ცნობილი სკამიდან 21-იც სხვადასხვა ინგლისურმა კლუბებმა შეიძინეს, ხოლო რაც შეეხება ჩვეულებრივ სკამებს, 75 ათასამდე რომ იდგა „უემბლიზე" და შედარებით იაფად იყიდებოდა, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტა: 1000 ცალი (30 პროჟექტორთან და საბანკეტო დარბაზის ავეჯთან ერთად) კლუბ „ლეიტონმა" შეიძინა, 500 ცალი ქალაქ ეივონის სამკითხველომ, 2300 ცალი კი რუმინეთის ქალაქ ტირგუ მურეშში ახლად გახსნილი თეატრის შენობაში მოემსახურება მაყურებელს.

„უემბლიზე" გატარებული წუთების მოსაგონრად არც კერძო პირებმა დაიშურეს სახსრები — ახალზელანდიელმა აივან მაუგერმა, ვისაც ამ სტადიონზე ორჯერ მოუგია სპიდვეის მსოფლიოს ჩემპიონატი, სამეფო ლოჟის გასახდელის ერთი სავარძელი და თავად ამ ლოჟაში მდგარი ნაგვის ურნები (!) შეიძინა, ცნობილმა მომღერალმა ჯონ ბონ ჯოვიმ კი, ვისაც „უემბლიზე" ბოლო კონცერტის ჩატარების პატივი ერგო, 12 ცნობილი სკამი დაისაკუთრა.

**გიგა ძოძახიძე**



ალან შირერმა ფაბიო კანავაროს მიამიტურად ჩისცხო

# ვაი, კეფა!

## შირერმა ხელი უშნოდ გაშალა

**ამ კვირაში**, „ინტერთან" მარცხის გარდა, „ნიუკასლს" კრეიგ ბელამის გაძევებამაც დასწყვიტა გული. იგი 10 დეკემბერს მეორე ტურის ბარსელონურ მატჩსაც გამოტოვებს, თუმც „კაჭკაჭების" წამურდლული საქმე ეგებ შირერის დისკვალიფიკაციითაც დამძიმდეს.

წესით, „ინტერთან" მატჩის არბიტრის, ფრანგი სტეფან ბრეს ნაწრთობ თვალს არ უნდა გამოჰპარვოდა, რომ შირერმა კეფაში იდაყვი სთხლიშა „ნერაძურის" მცველ ფაბიო კანავაროს, რომელიც ერთ ხანს ტკივილისგან მინდორზე ბორგავდა.

ბრემ თქვა: „წესის დარღვევა არ დამინახავს, თორემ რაც მატჩის შემდეგ ვიდეოჩანაწერით ვიხილე, ის რომ მოედანზე დამენახა, შირერს აუცილებლად ბელამის გზას გავუყენებდი."

ბრეს ნაცვლად ამას, ალბათ, უეფა გააკეთებს. სადისციპლინო კომისიამ ვიდეოზე რამდენიმეჯერ გადაახვია ის მომენტი და ამ უქმეებზე განაჩენსაც გამოიტანს. სავარაუდოდ, წესის დამრღვევს ორი ან სამი მატჩით მოკვეთენ.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ თუ შირერიც ვერ ეწვევა 10 დეკემბერს „კამპ ნოუს", „ბარსელონას" ზედიზედ მეათე საჩემპიონთალიგო თამაშის მოგება ერთიორად გაუადვილდება. თავად შირერმა კი მიამიტურად თქვა, აბეზარი მეურვე, რომელიც მაისურაზე მექაჩებოდა, თავდაცვის მიზნით მოვიშორეო.

**ზურაბ რუხაძე(?)**

# განიერი

## მანქანაც და ჯიბეც

გაზეთ „სანის" ფოტორეპორტიორებს ხომ არაფერი გამოეპარებათ. აი ახლაც, მანჩესტერის საგზაო პოლიციის ორ თანამშრომელს მაშინ „ჩაავლეს", როცა ამათ ერთ-ერთ მაღაზიაში საყიდლებზე შესული რიო ფერდინანდის მანქანას ჯარიმის ქვითარი დააკრეს: აღმოჩნდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ტრავმირებული მცველის 160-ათას გირვანქიანი „ასტონ მარტინი" 25 სანტიმეტრით იყო გადმოშორებული დასაშვებ ზოლს. ნუ ჩათვლით, რომ მსოფლიოს უძვირეს მცველს თავში აუვარდა. უბრალოდ, მისი მანქანა უფრო განიერია, ვიდრე გასაჩერებლად გამოყოფილი ალაგი. ფართე მანქანის პატრონს ჯიბეც ფართე აქვს — 40 გირვანქა ჯარიმის გადახდა კვირაში 70-ათასის მშოვნელ რიოს ნამდვილად არ დააზარალებს.




გიო

### სვეტი

# ბურთი ვისაა, ბურთი!

მოვიდა დეკემბერი და აშრიალდა „ფრანს ფუტბოლის" საგამოკითხვო ფურცლებიც: ყველას აინტერესებს, აბა, ვის გამოაცხადებენ ევროპის დარჩეული ჟურნალისტები „ოქროს ბურთის" პატრონად.

საქართველო ალბათ ჩემპიონია უცხო ქვეყნების საუკეთესო კლუბების მატჩების ცქერის დარგში. ამ მხრივ მას, ალბათ, მხოლოდ მალაიზია გაუსწრებს. ალბათ სწორედ მალაიზიასა და საქართველოში უყურებენ, ვთქვათ, „რომასა" და „არსენალის" მატჩს, რომელსაც რომაელ გულშემატკივართაგან მხოლოდ ნახევარი უყურებს, ლონდონელთაგან კი ალბათ მეხუთედი, ან მეექვსედი. შესაძლოა, მოდენაში ამას ერთი-ორი გიჟი თუ უყურებს, მიდლსბროში კი, დარწმუნებით მოგახსენებთ, რომ არავინ, თუნდაც იმიტომ, რომ ხელმისაწვდომ არხზე არ გადმოსცემენ.

ამით რაიმე ცუდის თქმა კი არ მინდა, პირიქით — იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენებური გულშემატკივარი საუკეთესოდაა გარკვეული ევროპულ საკლუბო ფეხბურთში და რჩეულ მოთამაშეთა ავან-ჩავანიც იცის.

ამიტომ, ეგებ ისიც კი მოგვეხერხებინა ხოლმე, რომ ჩვენებურებს ჩვენთვის, შინაურულად დაგვესახელებინა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. ეს ძნელად განსახორციელებელი იდეა გაისისთვის გადავდოთ, ისე კი, საკუთარ თავს დავეკითხოთ, ვინაა წლევანდელი ოქროს ბურთის მფლობელი?

ადრე უფრო იოლად ჩამოვყრიდი ხოლმე ხუთ გვარს, წლეულს კი გაჭირდა. ვერც ერთი დიდ სახელთაგანი თავისი საუკეთესო სეზონით ვერ დაიკვეხნის. ზიდანმა მშვენიერი გოლი გაიტანა ჩემპიონთა თასის ფინალში, მაგრამ წლეულს ბედი არ სწყალობს და თითქოს ცალი ფეხით თამაშობსო. ეს არ არის საპირველკაცო თამაში.

რაული ისეთია, როგორც ყოველთვის, მგონი, ის ოდნავ დაჩრდილა გუნდურმა ტაქტიკამ. ძველებურად დაქრის რობერტო კარლოსიც. ოლი კანმა ბრწყინვალე თამაშებს ჩავარდნები შეუნაცვლა. ფრანჩესკო ტოტის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ბრწყინვალე თამაშთან ერთად ხმა სიმულაციებს მისცე.

ამასობაში კი მიადგები ორ კაცს, რომელნიც ახლოს უნდა იყვნენ ამ „ოქროს ბურთთან". ჩემი აზრით, ესენი გახლავან რონალდო და ტიერი ანრი. რონალდოს წლებია, არ უთამაშია ფეხბურთი და არც ამ შემოდგომაზე ინევს ოფლის საღვრელად. მისი ტრავმების ამბავი ცნობილია. მაგრამ რონალდომ ბრწყინვალედ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე: გაიტანა, მოიგო, ჩემპიონი გახდა. ფიგურალურად რომ მოგახსენოთ, მან საუცხოოდ ითამაშა სამ მატჩში, ტიერი ანრიმ კი ვერ ითამაშა სწორედ იმ სამ მატჩში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. მეტიც, გააძევეს კიდეც და ერთნახევარი მატჩი გამოუვიდა. სამაგიეროდ, დანარჩენი სეზონი ანრისაა. მე ასე მგონია.

ამ სვეტს რომ ვამზადებ, თავში ვატრიალებ მის წლევანდელ გოლებს და ამასაც იმიტომ არ ვწერ, რომ სამი დღის წინათ მან სამი გოლი გაიტანა რომში. რომში ვისაც არ ეზარება, ლამის ყველას გააქვს.

აი, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ არ ყოფილიყო, სადავო არაფერი იქნებოდა, მაგრამ, ვნახოთ, ევროპაში სხვანაირად ითვლიან ხოლმე.

# იტალია

პაპუნა კედია



რომაელებს ვინჩენცო მონტელას და გაბრიელ ბატისტუტას (№33), რა ხანია, არ გაუხარიათ

## ხვალ არანორმალური თამაშია

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | - | კიევო |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | - | პერუჯა |
| ბოლონია | - | მოდენა |
| ემპოლი | - | მილანი |
| ინტერი | - | ბრეშა |
| პიაჩენცა | - | ლაციო |
| რომა | - | იუვენტუსი |
| ტორინო | - | პარმა |
| კომო | - | უდინეზე |
| გადაიდო | | |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 11 | 8 | 1 | 2 | 26:8 | 25 |
| იუვენტუსი | 11 | 7 | 4 | 0 | 19:6 | 25 |
| ლაციო | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 24 |
| ინტერი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:12 | 23 |
| კიევო | 11 | 7 | 0 | 4 | 20:12 | 21 |
| ბოლონია | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| მოდენა | 11 | 6 | 0 | 5 | 11:16 | 18 |
| პარმა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:14 | 16 |
| რომა | 11 | 4 | 4 | 3 | 21:19 | 16 |
| ემპოლი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:16 | 16 |
| უდინეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 9:12 | 15 |
| პერუჯა | 11 | 4 | 2 | 5 | 15:19 | 14 |
| პიაჩენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| ბრეშა | 11 | 2 | 3 | 6 | 14:21 | 9 |
| ატალანტა | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |
| რეჯინა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | 6 |
| ტორინო | 11 | 2 | 0 | 9 | 6:22 | 6 |
| კომო | 11 | 0 | 4 | 7 | 6:19 | 4 |

**ტურის ანონსი** ასეთი უსიამოვნო ცნობით დავიწყოთ: ბრაზილიელი ვარსკვლავი რივალდო სამი კვირის განმავლობაში იმასვე გააკეთებს, რასაც ჩვენ — „მილანის" თამაშებს შორიდან უყურებს. მსოფლიოს ჩემპიონს კუნთი გაეჭიმა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შავ-წითლების" ძირითად შემადგენლობაში ერთი ხნის მანძილზე ანდრეი შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის წყვილი ითამაშებს.

„მილანი" ამ ტურში „ემპოლის" ეწვევა და, ცხადია, სამშაბათს, მადრიდის „რეალთან" მშვენიერი გამარჯვების შემდეგ საკუთარ ძალებში დარწმუნებული, შეეცდება სამი, ერთი შეხედვით, იოლად მოსაპოვებელი ქულის მოპოვებას. რატომ ვამბობთ ასე? იმიტომ, რომ „ემპოლი", ბატონო ჩემო, ის გუნდია, რომელმაც აქამდე შინ, მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა და რაღა „მილანთან" გაიგიჟებს თავს?

ახლა კი, ბოლოხანს გაჭირვებულ „რომაზე" ვთქვათ. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, „არსენალისგან" 1:3 ნაგვემი კაპელოს ბიჭები ახლა „იუვენტუსს" ხვდებიან. „იუვენტუსი", მოგეხსენებათ, ჩემპიონიც არის და მიმდინარე პირველობის ლიდერიც.

„არსენალთან" დამარცხება ვახსენეთ და წინა ტურში „პარმასთან" წაგებული 0:3 დავივიწყოთ? იტალიური გაზეთები წერენ, რომ კაპელომ ხუთშაბათს ფეხბურთელები დაიბარა და ტყავი გააძრო, ფეხბურთელთაგან კი ზოგმა ენა შეუბრუნა. ამბობენ, 2000 წლის ტრიუმფალურ სეზონთან შედარებით გუნდის შემადგენლობა მაინცდამაინც არ შეცვლილა, სულისკვეთება კი, ჰოი, ისეთი გამოცვლილიაო.

დიახ, ეს სეზონი „რომასთვის" მართლაც განსაკუთრებულია. კაპელომ, მოგეხსენებათ, მსაჯთა კრიტიკით გამოიჩინა თავი, პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ კი მისი კლუბის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე ჩამოაგდო სიტყვა. შეთქმულების სათავედ უფალი ბიზნესმენი ჩრდილოეთ იტალიას, მილანსა და ტურინს ასახელებდა. გარდა ამისა, ამ კვირაში „რომას" ქომაგებმაც წაუხულიგნეს, რის გამოც ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „სტადიო ოლიმპიკოს" ერთმატჩიანი დასვენება ბრძანა, ოღონდ სტადიონი 19 დეკემბერს, „რეჯინასთან" მატჩისთვის დაიკეტება.

მაშ ასე, „რომა" „იუვენტუსს" ხვდება. გუნდებს შორის სხვაობა მთელი ცხრა ქულაა და, იოლი წარმოსადგენია, „იუვეს" გამარჯვების შემთხვევაში რა მოხდება — ფაბიო კაპელო და მისი გამოლანძღული ფეხბურთელები ფრიად შეუფერებელ ადგილას, ცხრილის ალალ შუაგულში აღმოჩნდებიან.

ახლა ქულების თვლას თავი დავანებოთ და, ზემოთ რომ შეთქმულების თეორია ვახსენეთ, იმას გავყვეთ. თუკი მისი თავად პრეზიდენტს სჯერა, წარმოიდგინეთ, ქომაგები რა დღეში იქნებიან.

„შეუძლებელია „რომასა" და „იუვენტუსის" შეხვედრა ნორმალური გამოვიდეს" — განაცხადა რამდენიმე დღის წინ „იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ, ხოლო სენსიმ, რომელიც ბევრი ლაპარაკის გამო საფეხბურთო ლიგის თათბირებიდან სამი თვით გააძევეს, რაღაც ამ ბოლო დროს ჩხუბს მოუკლო.

„იუვეს" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი: „დროა, დაპირისპირებას ბოლო მოეღოს. „რომა" „იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, ჩვეულებრივი სამუშაო საათნახევარია და მეტი არაფერი."

შეგახსენებთ, რომ წინა ტურში, „ბოლონიას" წინააღმდეგ, „ბებერმა ქალბატონმა" რამდენიმე ფეხბურთელი დასვენა, მაგრამ „რომასთან" საეჭვოა იგივე გაიმეოროს. თითქმის გამოჯანმრთელდა ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგეც, ოღონდ ხვალ, მას არ უნდა ველოდოთ.

კაპელოს ძირითადი საწუხარი კი დაცვაა. მოგეხსენებათ, რომაელთა უკანა ხაზმა „არსენალთან" შეხვედრაში ბევრი შეცდომა დაუშვა და საეჭვოა, სამ დღეში რაიმე პრინციპულად გამოცვლილიყო. ამასთან, ნახევარმცველი დამიანო ტომაზი და ბრაზილიელი სტოპერი ალდაირი კვლავ დაშავებულები არიან.

„ინტერი" კი ზედიზედ სამი თამაშია, ვერ იგებს. ოღონდ, ჩემპიონატში, ჩემპიონთა ლიგაში კი მოგეხსენებათ, „ნიუკასლთან" გასვლით შეხვედრაში 4:1 მოიგო. ერთი სიტყვით, „შავ-ლურჯების" მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი „ბრეშასთან" იმავე შემადგენლობას ათამაშებს, რომლითაც იქ ალბიონზე მოიგო.

„ბრეშას" კი დარიო დანიელი და ფრანჩელინო მატუცალემი არ ეყოლება, ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან, რობერტო ბაჯო კი ითამაშებს.

# ინგლისი

ქორიძე

## რა გიდევთ თავში?

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | — | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | — | ტოტენჰემი |
| ბლეკბერნი | — | ფულემი |
| ჩელსი | — | სანდერლენდი |
| მანჩესტერ სიტი | — | ბოლტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ლიდსი | — | ჩარლტონი |
| ლივერპული | — | მანჩესტერი |
| ნიუკასლი | — | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| ვესტ ჰემი | — | საუთჰემპტონი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 15 | 10 | 2 | 3 | 33:16 | 32 |
| ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 26:13 | 31 |
| ევერტონი | 15 | 9 | 2 | 4 | 18:15 | 29 |
| ჩელსი | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 27 |
| მანჩესტერი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 |
| მიდლსბრო | 15 | 7 | 3 | 5 | 19:12 | 24 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 2 | 6 | 19:21 | 23 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 1 | 6 | 23:22 | 22 |
| ბლექბერნი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:18 | 20 |
| საუთჰემპტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 14:13 | 19 |
| ფულემი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:20 | 19 |
| ბირმინგემი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:18 | 19 |
| ლიდსი | 15 | 5 | 2 | 8 | 19:22 | 17 |
| ჩარლტონი | 15 | 5 | 2 | 8 | 14:19 | 17 |
| სიტი | 15 | 5 | 2 | 8 | 15:23 | 17 |
| სანდერლენდი | 15 | 3 | 5 | 7 | 8:17 | 14 |
| ბოლტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:22 | 12 |
| ვესტ ჰემი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |

**ჩემპიონთა ლიგაში** „რომასთან" თამაშით ნასიამოვნები არსენ ვენგერი დღეს „პაიბერიზე" „ასტონ ვილას" მიიღებს. ბრწყინვალე ფორმაშია ტიერი ანრი, „მეთოფეთა" უმთავრესი იარაღი. საერთოდაც, მასპინძლები არანაირ სერიოზულ დანაკარგს არ უჩივიან. ისე, უიმედოდ არც „ასტონ ვილაა". წინა ტურში „ვესტ ჰემის" განადგურებით ფრთაშესხმულ ბირმინგემელებს შეტევაში კვლავაც დიონ დაბლინისა და ინგლისის ნაკრების წევრის, დარიუს ვასელის იმედი აქვთ. ერთი ეგაა, კოჭის ტრავმის გამო სტუმართა რიგებში კვლავაც არ იქნება პიტერ კრუში.

ბირმინგემელთა ამავე სახელწოდების გუნდში „ტოტენჰემთან" საშინაო მატჩში ითამაშებს ფეხმორჩენილი რობი სევიჯი, „ტოტენჰემს" კი ტრავმის გამო არ ეყოლება საიმონ დევისი. „დეზებს" შესაძლოა არგენტინელი მცველი მაურისიო ტარიკოც დააკლდეთ, თუმც მისი მოედანზე გამოჩენა გამორიცხული არ არის. ასევე საეჭვოდ აქვს საქმე ლონდონელთა ურუგვაელ გუსტავო პოიეტს, რომელიც წინა უქმეებზე „ლიდსთან" დაშავდა.

„ბლექბერნმა", რომელიც „ფულემს" ხვდება, ოქტომბერში „ნიუკასლსა" და „არსენალს" სძლია, მას შემდეგ კი ზედიზედ შვიდი მატჩია, გამარჯვების გემო არ იცის. მეტოქეს ალბათ ტრავმამოშუშებული გარი ფლიტკროფტიც დაუპირისპირდება. მან გუნდის ბოლო 4 მატჩი გამოტოვა. მასპინძელთა ნახევარდაცვას გამოჯანმრთელებული თურქი თუგაიც გააძლიერებს. ინგლისის 1995 წლის ჩემპიონთა ერთადერთი დანაკარგი მცველი მარტინ ტეილორია.

პრემიერლიგის „ფრანგული" გუნდის თავკაცმა ჟან ტიგანამ კი თავის ბიჭებს სთხოვა, უეფას თასზე „ჰერტასთან" მარცხი დაივიწყეთ და თავში გასულ კვირას „ლივერპულთან" გამარჯვება დაიტოვეთო.

„ჩელსის" „სანდერლენდთან" საშინაო მატჩში „ბოლტონთან" წითელანთებული ნიგერიელი სელესტინ ბაბაიარო არ ეყოლება. სხვათა შორის, „ჩელსიმ" ის წითელი ბარათი გაასაჩივრა, ბაბაიარომ კი ბოლტონელი ფრანგი იური ჯორკაეფი განზრახ ტრავმის მიყენების მცდელობაში დაადანაშაულა. რაც შეეხება „სანდერლენდს", ჰოვარდ უილკინსონის გუნდს პრობლემები ნახევარდაცვაში აქვს, სადაც ერთბაშად სამი კაცი ჰყავს ტრავმირებული — თომას ბატლერი, ხულიო არკა და მეთიუ პიპერი.

„მანჩესტერ სიტის" „ბოლტონთან" წინასამატჩოდ ფინანსური პრობლემები აღმოაჩნდა. „სიტის" მენეჯერი კევინ კიგანი ახალი ფეხბურთელების საყიდელ ფულს თხოულობდა. კლუბის უფროსობას ფული არ აღმოაჩნდა, რის გამოც კიგანი სულაც გადადგომას აპირებდა. მაგრამ ასეა თუ ისე, კიგანი ჯერაც გუნდშია, „ბოლტონთან" მატჩის წინ კი კლუბს მცველები — სტივ ჰაუი და სილვენ დისტინი დაუბრუნდნენ. ხოლო ბოლტონელთაგან განსაკუთრებით მცველი პოლ ვარჰურსტია მონდომებული, რაკი კარიერა სწორედ „მანჩესტერ სიტიში" დაუწყია.

ბოლოსწინა ადგილისანი „ვესტ ბრომვიჩი" „მიდლსბროსთან" ნახევარმცველ ადამ ჩემბერსის გარეშე ითამაშებს. კლუბს სექტემბრის მერე აღარ მოუგია. ბოროელები კი მხნედ არიან. მათ ხომ პრემიერლიგის 15 მატჩში ყველაზე ცოტა, 12 გოლი გაუშვეს. ალბიონელთა წინააღმდეგ ითამაშებს „ვესტ ბრომვიჩში" კარიერადაწყებული უგო ეჰიოგუ. სასტარტოში კი კვლავაც იქნება ავსტრალიელი ტონი ვიდმარი.

ტურის მთავარი მატჩი კი ხვალ გაიმართება „ენფილდზე". უეფას თასზე „ვიტესთან" გამარჯვებული „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგაში „ბაზელის" მძლეველ „მანჩესტერს" უმასპინძლებს. საეჭვოა, იქნება თუ არა სასტარტოში ჟერარ ულიეს მიერ ნაკრიტიკები სტივენ ჯერარდი. მანჩესტერელთა წინააღმდეგ შესაძლოა ტრავმამოშუშებულმა შვეიცარიელმა, შტეფან ანშომ ითამაშოს.

ტრავმების ეპიდემიადამტყდარი „იუნაიტედისთვის" მაშველი დიდებულ ფორმაში მყოფი ვან ნისტელროოია. სავარაუდოდ, „მანჩესტერის" სალივერპულო შემადგენლობა ბაზელურისგან დიდად განსხვავებული არ იქნება.

ბოლო ორ თამაშში 9 გოლის გამშვები „ნიუკასლი" მესამეადგილოსან „ევერტონს", „ინტერთან" გაძევებული კრეიგ ბელამით დაუხვდება.

ლივერპულელთა მეორე გუნდი კი ბრწყინვალე სტარტის გაგრძელებას „სენტ ჯეიმსიზ პარკზეც" შეეცდებიან, მით უფრო, „ნიუკასლის" დაცვის შემხედვარე. სხვათა შორის, „ევერტონმა" ახლახან მარსელის „ოლიმპიკიდან" ნიგერიელი მცველი ჯოზეფ იობო დაიმატა.

მეთექვსმეტე ტურს ორშაბათს „ვესტ ჰემ" — „საუთჰემპტონის" მატჩი დაასრულებს. ბოლოადგილოსან „ჩაქუჩებს" ფრანგი თავდამსხმელი ფრედერიკ კანო დაუბრუნდება.



REUTERS

ალექს ფერგიუსონი „ლივერპულთან" მატჩის წინ სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი




ენდი მიოლერი „შალკეს“ ჰანოვერში ვერ მიყვება

# შოკისშემდგომი ფიქრები

**დღეს** მიუნხენში „ბაიერნი“ ბერლინის „ჰერტას“ უმასპინძლებს. ბოლო ხუთი წელია, „ბაიერნს“ „ჰერტა“ უმოწყალოდ ჩაგრავს, ოღონდ მხოლოდ საშინაო შეხვედრებში. საგულისხმოა ისიც, რომ გერმანული გუნდების გვარიანი ნაწილი საევროთასო მარაქაშია გახვეული მაშინ, როცა „ბაიერნი“ უსახელოდთ ჩამოშორდა ჩემპიონთა ლიგას.

ოტმარ ჰიცფელდი: „ლიგიდან გამოთიშვა ჩემი გუნდისთვის შოკისმომგვრელი გამოდგა, რამაც ფეხბურთელებს შორის მცირე კონფლიქტებიც გამოიწვია. ალბათ, უფრო ამის გამო მოხდა შეხლა-შემოხლა კუფურსა და ლიზარაზუს შორის.“

ბუნდესჩემპიონობაზე გადართული მიუნხენელები ნელ-ნელა გონს მოდიან. ისინი უახლოეს მდევარს, ბრემენის „ვერდერს“, გვარიანადაც უსწრებენ და თავის მეთვრამეტე ჩემპიონობაზე აქედანვე ფიქრობენ. ოტმარ ჰიცფელდის გუნდს დღეს ფრანგი მცველის ვილი სანიოლი და ჰასან სალიჰამიჯიჩი დააკლდება — ორივე ტრავმირებულია.

დედაქალაქელებს, რომლებიც უეფას თასზე უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე შინა ჩემპიონატში, ბრაზილიელი ლეგიონერების, ალექს ალვეშისა და ლუიზაოს გარეშე მოუწევთ თამაში.

როგორც ჩანს, გონს მოდის მაჩანჩალა „კოტბუსი“. ბოლო ორ ტურში მოკრეფილი 4 ქულაც ამის დასტურია. ენერგეტიკოსებმა თვით სახლში ბრწყინვალედ მოთამაშე „ჰამბურგსაც“ აართვეს ქულა გასულ უქმეებზე, ახლა კი მიუნხენელი „ლომების“ გაბდღვნას ეცდებიან. „მიუნხენ 1860“-ს აგერ უკვე სამი შეხვედრაა, არ მოუგია. სტუმრებს ტრავმამოშუშებული მცველი მარკო კურტი დაუბრუნდებათ, მასპინძლებს კი — დისკვალიფიცირებული კაპიტანი კრისტიან ბეეკი. ხოლო „ლომებს“ სამი თვით ჩამოშორდა მეგოლე მარტინ მაქსი. მისი გამოჯანმრთელება გაზაფხულამდე გაიწელება.

„ნიურნბერგს“ თავისი პოლონელი ლეგიონერები დღეს დორტმუნდის „ბორუსიას“ წინააღმდეგ ვერ დაეხმარებიან. იაცეკ კრჟინოვეკი და ფორვარდი კაი მიხალე დაშავებულნი არიან. რაც შეეხება „დორტმუნდს“, მას ბრაზილიელი მცველი ევანილსონი და ნახევარმცველი სებასტიან კელი დააკლდება.

როსტოკის „ჰანზას“ წინა ტურში „შალკესთან“ დუბლის შემსრულებელი რენე რიდლევიჩი არ ეყოლება. მიოხენგლადბახის „ბორუსიამ“ ბოლოს როსტოკში 1995-ში მოიგო და ძალიანაც სურს ნავსის გატეხვა, მაგრამ მოსაგებად თამაში ტრავმით გაწვალებული თავდამსხმელის, არი ვან ლენტის გარეშე მოუწევთ.

შარშანდელი მეორე ბუნდესლიგელები — „ბოხუმი“ და „არმინია“ ბოხუმში შეებმებიან ერთურთს. „ბოხუმი“ ბუნდესლიგაში თავის დღევანდელ სტუმარზე უკეთ გამოიყურება და ალბათ შინ გამარჯვების მეტი შანსიც აქვს. თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ბელეფილდელები ლევერკუზენის „ბაიერთან“ გასულ უქმეებზე ორჯერ აგებდნენ, საბოლოოდ კი ფრე გააზერხეს.

კლაუს ტოპმიოლერს ძველი „ლევერკუზენის“ ხილვა სწადია, ისეთის, როგორიც შარშან ამ დროს იყო: „მინდა, რომ შარშანდელი შემოდგომის შედეგს მივაღწიოთ და ცხრილში რაც შეიძლება, ზევით ავიდეთ.“ საამისოდ ტოპმიოლერის გუნდს „ჰამბურგის“ დამარცხება სჭირდება.

პრობლემამოძალებული „კაიზერსლაუტერნის“ შვება ალბათ ის იქნება, რომ შესაძლებელია, დღეს „ვოლფსბურგს“ მთავარი „მგელი“ შტეფან ეფენბერგი ვერ დაეხმაროს.

ლიდერთა მარაქაში გასარევად ილწვიან „ვერდერი“ და „შტუტგარტი“. ბრემენელ მუსიკოსებს გვარიანად დაქოქილი მეტოქის დამუხრუჭება მოუწევთ, რომელსაც პირველი მეკარე, ჰილდებრანდი ტრავმირებული ჰყავს.

„ჰანოვერს“ „შტუტგარტთან“ მარცხის შემდეგ სირცხვილის ჩამოწმენდა სურს და „შალკესთან“ გამარჯვებაზე ფიქრობს. გელზენკირხენელები საკმაოდ შესუსტებულნი ეწვევიან მეტოქეს. მათ ტომაშ ვალდოხი, ენდი მიოლერი და ვიქტორ აგალი დააკლდებათ.

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | — | მიუნხენ 1860 |
| ნიურნბერგი | — | დორტმუნდი |
| ბაიერნი | — | ჰერტა |
| ჰანზა | — | გლადბახი |
| ბოხუმი | — | არმინია |
| ლევერკუზენი | — | ჰამბურგი |
| ლაუტერნი | — | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | — | შტუტგარტი |
| ჰანოვერი | — | შალკე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 31:14 | 32 |
| ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 28:25 | 26 |
| შტუტგარტი | 14 | 6 | 6 | 2 | 24:15 | 24 |
| დორტმუნდი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:11 | 24 |
| შალკე | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | 23 |
| ჰერტა | 14 | 6 | 4 | 4 | 16:13 | 22 |
| ვოლფსბურგი | 14 | 7 | 1 | 6 | 17:16 | 22 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 29:23 | 21 |
| მიუნხენი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:17 | 21 |
| ჰამბურგი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:20 | 20 |
| ლევერკუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:22 | 17 |
| ნიურნბერგი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:23 | 17 |
| გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:14 | 16 |
| ჰანზა | 14 | 4 | 4 | 6 | 17:16 | 16 |
| ჰანოვერი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:30 | 15 |
| არმინია | 14 | 4 | 3 | 7 | 15:24 | 15 |
| კოტბუსი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:28 | 9 |
| ლაუტერნი | 14 | 1 | 4 | 9 | 12:24 | 7 |

## ესპანეთი

ნიკა შუბლაძე

# პოტენციური ცვლილების უქმე

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ოსასუნა | — | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| ესპანიოლი | — | რაიო ვალეკანო |
| ბეტისი | — | ბილბაო |
| ვალიადოლიდი | — | სელტა |
| ალავესი | — | ვალენსია |
| რასინგი | — | მალაგა |
| ვილიარეალი | — | უელვა |
| დეპორტივო | — | მალიორკა |
| სოსიედადი | — | ბარსელონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 11 | 6 | 5 | 0 | 21:13 | 23 |
| მალიორკა | 11 | 7 | 1 | 3 | 17:13 | 22 |
| ვალენსია | 11 | 6 | 3 | 2 | 20:7 | 21 |
| რეალი | 11 | 4 | 6 | 1 | 17:10 | 18 |
| ატლეტიკო | 11 | 4 | 6 | 1 | 18:12 | 18 |
| სელტა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:8 | 18 |
| დეპორტივო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:14 | 18 |
| ბეტისი | 11 | 4 | 5 | 2 | 19:12 | 17 |
| მალაგა | 11 | 4 | 5 | 2 | 17:16 | 17 |
| ბარსელონა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 16 |
| ბილბაო | 11 | 4 | 3 | 4 | 18:22 | 15 |
| ვალიადოლიდი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | 14 |
| ალავესი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:21 | 12 |
| ვილიარეალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:12 | 11 |
| რასინგი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:13 | 11 |
| სევილია | 11 | 2 | 5 | 4 | 8:10 | 11 |
| რაიო | 11 | 2 | 3 | 6 | 13:19 | 9 |
| ოსასუნა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:18 | 9 |
| უელვა | 11 | 2 | 2 | 7 | 9:22 | 8 |
| ესპანიოლი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:20 | 7 |

**ტურის** მთავარი მატჩისა და მოვლენათა ეპიცენტრის ადგილი ქალაქი სან სებასტიანია, სადაც პრიმერადივიზიონის ლიდერი „რეალ სოსიედადი“ კატალონიურ „ბარსელონას“ უმასპინძლებს. ბასკური კლუბი, აგერ უკვე თერთმეტი ტურია, იმდენად ძლიერად თამაშობს, რომ მის დამარცხებას ვერავინ ახერხებს, ხოლო ლუის ვან გაალის შეგირდები ევროსარბიელისგან განსხვავებით შინაურ ჩემპიონატში ჯერ ეგრეც ვერ ახერხებენ შესაფერისი თამაშის აწყობას. ამის ნათელი დასტური ცხრილში მათი მეათე პოზიციაზე ყოფნაა.

თავის მხრივ, „სოსიედადი“ ბოლო სამი ტურია, ვერ იგებს და მანამდე საგრძნობი უპირატესობა ახლა უკვე ერთ ქულამდე შეუმცირდა. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბასკებმა ამ სამიდან ორ შეხვედრაში ჯერ „დეპორტივოსთან“, ხოლო შემდეგ მადრიდის „რეალთან“ აიღეს თითო ქულა.

კარიერაში ალბათ ყველაზე წარმატებულ სეზონს ატარებს სანსებასტიანელთა მთავარი დამრტყმელი ძალა დარკო კოვაჩევიჩი, რომელმაც აქამდე შვიდი გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთით ჩამორჩება დივიზიონის მთავარბომბარდირს, დეპორტივოელ როი მაკაის. ამ ტურში კოვაჩევიჩს თურქი ნიჰათიც შეუამხანაგდება, რომელმაც ორი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. ამ ფეხბურთელს ექვსი გოლი აქვს გატანილი და ისიც ბომბარდირთა მარაქაშია გარეული.

„ბარსელონას“ შემადგენლობაში საეჭვოა ხავიერ სავიოლას გამოჩენა, როგორც კლუბში აცხადებენ, არგენტინელს ტრავმა აწუხებს. ხოლო ის ფაქტი, რომ ლუის ენრიკე და პატრიკ ანდერსონი ვერ ითამაშებენ, ახალი არ გახლავთ, ისინი გაცილებით დიდი ხნით ვერ შეძლებენ მოედანზე დაბრუნებას.

ამ ტურში ლიდერის ცვლაა მოსალოდნელი — იმ შემთხვევაში თუ „სოსიედადი“ ქულებს კვლავაც დაკარგავს, ხოლო მისი უახლოესი მდევრები, „მალიორკა“ ან „ვალენსია“ მოიგებს.

დავიწყოთ პირველი ვარიანტით: „მალიორკა“ ლიდერზე არანაკლებ რთულ მატჩს ჩაატარებს სტუმრად ლა კორუნიაში. სხვათა შორის, სწორედ „დეპორტივომ“ ათხოვა ბალეარის კუნძულების გუნდს ურუგვაელი თავდამსხმელი ვალტერ პანდიანი, რომელიც „მალიორკას“ ლიდერად მოგვევლინა და უკვე შვიდი გოლის გატანა მოასწრო. თავის მხრივ „დეპორტივოსაც“ ჰყავს ყოფილი მალიორკელი, ეს ალბერტო ლუკეა, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში მისი თამაში ნავარაუდევი არ არის, რადგან მწვრთნელი ხავიერ ირურეტა ალბათ უკეთ დაცდილ შემტევ წყვილს, როი მაკაისა და დიეგო ტრისტანს ენდობა.

კიდევ ერთი პოტენციური ლიდერი, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ვალენსია“ ასევე გასვლით მატჩს ჩაატარებს ბასკეთში „ალავესთან“, რომელიც ამ სეზონში ისე ძლიერად ვერ გამოიყურება, როგორც უწინდელებში. მასპინძლებს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავთ პრიმერადივიზიონში. ხოლო ვალენსიელები საპირისპიროდ, ყველაზე ცოტა გოლს უშვებენ.

შაბათის ერთადერთ მატჩში მადრიდის „ატლეტიკო“ „ოსასუნას“ გაეჯიბრება, რომლის მთავარი ამოცანა ისაა, როგორმე გასავარდნი ზონიდან დაიძვრინოს თავი. ისე, ეს ბოლო ორი ტურია, პამპლონელთა თამაშში თითქოს რაღაც გამოსწორდა. ჯერ იყო და, „ვალენსიას“ მოუგეს, მერე კი ვიგოს „სელტასთან“ ითამაშეს ფრედ. ასე რომ „ატლეტიკოს“ იოლი გასეირნება არ ელის.

უეფას თასზე „ოსერთან“ გამარჯვებული „ბეტისისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ წყვილიც იმსახურებს აღნიშვნას. თუგინდ იმიტომ, რომ დაახლოებით თანაბარ ძალთა ჭიდილი იქნება. შესაძლოა, „ბეტისს“ ნახევარმცველი კაპი ვერ დაეხმაროს, რომელიც უეფას თასის მატჩისას დაშავდა.

აქვე უპრიანი იქნებოდა, მადრიდის „რეალის“ და „სევილიას“ მატჩისწინა ამბებზეც რამე გვეთქვა, მაგრამ ამაში „სამეფო კლუბის“ იაპონიაში გამგზავრებამ შეგვიშალა ხელი. სამშაბათს საკონტინენტთაშორისო თასისთვის მატჩია და ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდელები შორეული აღმოსავლეთისკენ ამიტომ დაადგნენ გზას. პრიმერადივიზიონის კალენდარული მატჩი კი იმ დღისთვის დაიგეგმა ჩვენ გოჭის ნაჭერი და ჭიქა რომ გვეჭირება ხელში. თამაში 2 იანვრისთვის გადაიდო.



ვალტერ პანდიანი ძველ მეგობრებს დაუმიზნებს

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-მიუნხენი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ჰერტა | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 18.30 | 004 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-არმინია | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.30 | 007 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 20.30 | 008 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.30 | 009 | ჰანოვერი-შალკე | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 013 | უნიონი-ლიუბეკი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 014 | ბრაუნშვაიგი-ტრიერი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 015 | ფრაიბურგი-ბურგჰაუზენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ალენი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 18.00 | 017 | კიოლნი-ფიურტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23.15 | 018 | ზტ.პაული-კარლსრუე | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 023 | ქემნიცი-ვატენშაიდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 024 | დინამო-ესენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 025 | ურდინგენი-დრეზდენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 17.00 | 026 | პადერბორნი-კელნი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 17.00 | 027 | ვერდერი(მ)-ჰამბურგი(მ) | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-დორტმუნდი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 031 | აინტრახტი(მ)-ლაუტერნი(მ) | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.30 | 032 | შვაინფურტი-ერფურტი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 17.30 | 033 | აუგსბურგი-აალენი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.30 | 034 | ფულენდორფი-ნოინკირხენი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 035 | ფულენდორფი-ნოინკირხენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 17.30 | 036 | ელვერსბერგი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 17.30 | 037 | კიკერსი-ჰოფენჰაიმი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 17.00 | 038 | ზიგენი-ვეენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 21.00 | 039 | დარმშტადტი-ბაიერნი(მ) | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 040 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 041 | არსენალი-ასტონ ვილა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 042 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 043 | ბლეკბერნი-ფულემი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 045 | ჩელსი-სანდერლენდი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 046 | სიტი-ბოლტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 047 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 19.00 | 048 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 16.15 | 049 | ლივერპული-მანჩესტერი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.15 | 050 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 24.00 | 051 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |

### ინგლისი
### I დივიზიონი. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 056 | ბრაიტონი-რედინგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 057 | ქოვენტრი-პრესტონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.00 | 058 | ჯილინგემი-სტოკი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 059 | გრიმსბი-ლესტერი | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 060 | მილუოლი-ბრედფორდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 061 | ნორვიჩი-დერბი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 062 | ნოტინგემი-იფსვიჩი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 063 | პორტსმუთი-უოლსოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 064 | პორტსმუთი-უოლსოლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 065 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 066 | უოტფორდი-ბარნლი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 067 | უიმბლდონი-უენსდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.35 | 068 | როტერჰემი-ვულვერჰემპტონი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 070 | ბარნსლი-ოლდჰემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 071 | ბლეკპული-ნოტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 072 | ბრისტოლი-ქრიუ | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 073 | ჩელტენჰემი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 074 | ჩესტერფილდი-ჰადერსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 075 | კოლჩესტერი-პლიმუთი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 076 | პორტ ვეილი-მენსფილდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 077 | სტოკპორტი-უიკომბი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 078 | სუინდონი-პეტერბორო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 079 | ტრანმერი-ლუტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 080 | უიგანი-ნორთჰემპტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 081 | ბორნმუთი-სკანთორპი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 082 | ბოსტონი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 083 | ბერი-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 084 | კემბრიჯი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 085 | დარლინგტონი-საუთენდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 086 | ჰარტლპული-კიდერმინსტერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 087 | ოქსფორდი-ლინკოლნი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 088 | რაშდენი-როვერსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 089 | რაშდენი-როვერსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 090 | სუონსი-შრუსბერი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 091 | ტორკი-როჩდეილი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 092 | რექსემი-ჰალი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 093 | იორკი-კარლაილი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |

### იტალია. სერია "A". XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 094 | კომო-უდინეზე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 23.30 | 095 | რეჯინა-კიევო | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 096 | ატალანტა-პერუჯა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 097 | ბოლონია-მოდენა | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 18.00 | 098 | ემპოლი-მილანი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 18.00 | 099 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 100 | ინტერი-ბრეშა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 18.00 | 101 | პიაჩენცა-ლაციო | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 18.00 | 102 | ტორინო-პარმა | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.30 | 103 | რომა-იუვენტუსი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |

### იტალია. სერია "B". XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 18.00 | 105 | ასკოლი-ჯენოა | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 18.00 | 106 | ბარი-ანკონა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 107 | კალიარი-სალერნიტანა | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 18.00 | 108 | კატანია-კოზენცა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 18.00 | 109 | სამპდორია-ვიჩენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 110 | ტერნანა-ტრიესტინა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 111 | ვენეცია-მესინა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 112 | ვერონა-ლეჩე | 2,45 | 2,6 | 3,1 | 1,26 | 1,36 | 1,41 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23.30 | 113 | ლივორნო-სიენა | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |

### იტალია. "C1 A" XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 115 | ალძანო-პისტოიეზე | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 17.30 | 114 | ალბინოლეფე-პრატო | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 17.30 | 116 | არეცო-პადოვა | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| 17.30 | 117 | კარარეზე-სპალ | 2,2 | 2,45 | 4,0 | 1,15 | 1,41 | 1,51 |
| 17.30 | 118 | ჩეზენა-ლუმეცანე | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 17.30 | 119 | ჩიტადელა-პიზა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 17.30 | 120 | ლუკეზე-ტრევიზო | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 17.30 | 121 | პროპატრია-სპეცია | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 17.30 | 122 | რეჯანა-ვარეზე | 1,6 | 2,9 | 7,0 | 1,03 | 1,3 | 2,05 |

### იტალია. "C1 B" XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 17.30 | 125 | ბენევენტო-აველინო | 2,8 | 2,6 | 2,7 | 1,34 | 1,37 | 1,32 |
| 17.30 | 126 | კროტონე-ტერამო | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 17.30 | 127 | ჯულიანოვა-სამბენედეტეზე | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 17.30 | 128 | აკილა-ფერმანა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 17.30 | 129 | პატერნო-პესკარა | 2,8 | 2,6 | 2,7 | 1,34 | 1,37 | 1,32 |
| 17.30 | 130 | სორა-კიეტი | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 17.30 | 131 | ტარანტო-ვიტერბეზე | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 17.30 | 132 | პეზარო-ტორესი | 1,9 | 2,6 | 5,0 | 1,09 | 1,37 | 1,71 |
| | | 2 დეკემბერი | | | | | | |
| 23.30 | 133 | ლანჩანო-მარტინა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 00.30 | 136 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 20.00 | 137 | ესპანიოლი-რაიო | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 138 | ვილიარეალი-უელვა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 139 | ბეტისი-ბილბაო | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 140 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 141 | რასინგი-მალაგა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 142 | ალავესი-ვალენსია | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 22.00 | 145 | სოსიედადი-ბარსელონა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 23.30 | 146 | დეპორტივო-მალიორკა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 21.30 | 147 | ლეგანესი-ტენერიფე | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 21.30 | 148 | სპორტინგი-ფეროლი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 01.00 | 149 | ლას პალმასი-ეიბარი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 15.00 | 150 | ალბასეტე-მურსია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 20.00 | 151 | ბადახოსი-სარაგოსა | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 152 | სალამანკა-კორდობა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 20.00 | 153 | ხერესი-კომპოსტელა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 20.00 | 154 | ტერასა-ალმერია | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 20.00 | 155 | ეხიდო-ლევანტე | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| 20.00 | 156 | ელჩე-ოვიედო | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 20.00 | 157 | ნუმანსია-ხეტაფე | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |

### საფრანგეთი
### I დივიზიონი. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 20.15 | 158 | მონაკო-პსჟ | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.00 | 159 | აიაჩო-ლე ავრი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 160 | ბასტია-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 23.00 | 161 | ნანტი-მონპელიე | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 162 | რენი-ლილი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 23.00 | 163 | სედანი-ნიცა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 164 | სოშო-ტროა | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| | | 1 დეკემბერი | | | | | | |
| 21.00 | 165 | ლანსი-გენგამი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 21.00 | 166 | ლიონი-სტრასბური | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.45 | 167 | ოსერი-ბორდო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 23.00 | 170 | ისტრი-კლერმონი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 171 | ლე მანი-ლავალი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 172 | ლორიანი-გრენობლი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.00 | 173 | ნიორი-ნანსი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 174 | რეიმსი-გენიონი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 23.00 | 175 | სტ.ეტიენი-შატორუ | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 23.00 | 176 | ტულუზი-ამიენი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 23.00 | 177 | ვალანსი-კრეტეი | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |

### პორტუგალია. I ლიგა. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ნოემბერი | | | | | | |
| 20.00 | 178 | ჟილ ვისენტე-მორეირენსე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 20.00 | 179 | სეტუბალი-სანტა კლარა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 180 | ბენფიკა-ბრაგა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 181 | ბენფიკა-ბრაგა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 01.15 | 182 | ბეირა მარი-სპორტინგი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 183 | ლეირია-ვარზიმი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.00 | 184 | ნასიონალი-ფეირენსე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 22.30 | 185 | მარიტიმუ-ბელენენსეში | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 186 | გიმარაეში-ბოავიშტა | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 01.30 | 187 | პორტუ-აკადემიკა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 188 | პორტუ-აკადემიკა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 189 | ნავალი-მადეირა | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 19.00 | 190 | ავეში-ფარენსე | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 191 | კოვილია-სალგეიროში | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 192 | ოვარენსე-ამადორა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 19.00 | 193 | რიუ ავე-ლეშოეში | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 194 | მარკუ-მაია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.30 | 195 | პენაფიელი-პორტიმონენსე | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 20.00 | 196 | ალვერკა-შავეში | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 197 | ლეჩა-ფელგეირაში | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 200 | ბრედა-როზენდალი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 22.30 | 201 | პსვ-ტილბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 202 | პსვ-ტილბურგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 203 | ალკმაარი-ვალვაიკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 204 | აიაქსი-ტვენტე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 205 | აიაქსი-ტვენტე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.30 | 206 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 207 | ფეიენოორდი-უტრეხტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 208 | გრონინგენი-ჰერენვენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.30 | 209 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 210 | ვიტესი-გრააფსხაპი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 222 | ლიერსი-მუსკრონი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 223 | ლოკერენი-მონსი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 224 | ვესტერლო-გენტი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 225 | მეხელენი-სტანდარდი | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| 23.00 | 226 | ბევერენი-ანტვერპენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 227 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 18.00 | 228 | ლომელი-შარლერუა | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 229 | ლიერსი-გენკი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 230 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 232 | დაინცე-გეელი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.00 | 233 | პატრო-ვარეგემი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| 23.00 | 234 | ვირტონი-ტიენე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 235 | ვოგორი-ეუპენი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 17.30 | 236 | ვიზეტი-რონსე | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 18.00 | 237 | სტრომბეკი-ლეხელი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 18.00 | 238 | რუზელარე-დენდერლეუ | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 239 | სერკლი-ინგელმუნსტერი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| | | **საბერძნეთი. IX ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 243 | ირაკლისი-პროოდევტიკი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 242 | აეკ-პაოკ | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 19.00 | 244 | პანათინაიკოსი-იანინა | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 245 | პანათინაიკოსი-იანინა 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| 17.00 | 245 | ქსანთი-ეგალეო | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 17.00 | 246 | იონიკოსი-აკრატიტოსი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 17.00 | 247 | კალითეა-პანიონიოსი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 19.00 | 248 | არისი-ოლიმპიაკოსი | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| 17.00 | 249 | ოფი-პანაჰაიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **თურქეთი. XV ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 256 | ელაზიგი-კოჯაელი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 21.00 | 257 | ალთაი-ბურსა | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 21.00 | 258 | ანკარაგუჩუ-გალატასარაი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 20.00 | 259 | გაზიანთეპი-ტრაბზონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 260 | მალათია-დიარბაქირი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 261 | მალათია-დიარბაქირი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 262 | ადანა-სამსუნი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 263 | დენიზლი-გოზთეპე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 21.00 | 264 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 265 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 266 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 267 | ლივინგსტონი-დანდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 268 | პარტიკი-კილმარნოკი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 269 | სელტიკი-მაზერველი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 270 | სელტიკი-მაზერველი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 19.00 | 271 | ჰარტსი-რეინჯერსი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 272 | ალოა-როსი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 19.00 | 273 | არბროთი-ქუინი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 274 | ინვერნესი-კლაიდი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 19.00 | 275 | სტ.ჯონსტონი-ფოლკირკი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 276 | სტ.მირენი-ეარი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 278 | ბრეჩინი-ერდრი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 19.00 | 279 | დამბარტონი-კოუდენბითი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 19.00 | 280 | რეითი-ფორფარი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 19.00 | 281 | სტენჰაუზმური-ბერვიკი | 2,1 | 3,4 | 3,0 | 1,29 | 1,23 | 1,59 |
| 19.00 | 282 | სტრანრაერი-ჰამილტონი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 284 | ისტ სტერლინგი-პიტერჰედი | 3,2 | 3,4 | 2,0 | 1,64 | 1,23 | 1,25 |
| 19.00 | 285 | მონტროუზი-ალბიონი | 2,8 | 3,4 | 2,2 | 1,53 | 1,23 | 1,33 |
| 19.00 | 286 | მორტონი-ელგინი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 287 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 3,0 | 3,4 | 2,0 | 1,59 | 1,2 | 1,25 |
| 19.00 | 288 | ქუინზ პარკი-სტერლინგი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |
| | | **დანია. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 290 | კოგე-ბრიონდბიუ | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 291 | ესბიერგი-აკადემისკი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 292 | ფარუმი-ოდენსე | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 293 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 294 | ორჰუსი-ოლბორგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 20.35 | 295 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 296 | კოპენჰაგენი-სილკებორგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **ავსტრია. XXI ტური** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 297 | ბრეგენცი-რაპიდი | 2,45 | 3,0 | 2,7 | 1,34 | 1,28 | 1,42 |
| 18.30 | 298 | ადმირა-ზალცბურგი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.15 | 299 | რიდი-კერნტენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 300 | შტურმი-პაშინგი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.30 | 301 | აუსტრია-გრაცერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.15 | 302 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.30 | 303 | ლუცერნი-აარაუ | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 17.30 | 304 | სერვეტი-ქსამაქსი | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 305 | სტ.გალენი-დელემონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.30 | 306 | თუნი-ვილი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 17.30 | 307 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 312 | ვოლენი-ივერდონი | 3,6 | 3,4 | 1,75 | 1,74 | 1,17 | 1,15 |
| 17.30 | 313 | ვინტერთური-ბადენი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 17.30 | 314 | ბელინცონა-კონკორდია | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 17.30 | 315 | ლოზანა-ლუგანო | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 17.30 | 316 | შაფჰაუზენი-სიონი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 17.30 | 317 | ვადუცი-კრიენსი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 329 | პლოცკი-ოდრა | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 330 | პოლონია-ვიძევი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 15.00 | 331 | რადომსკო-ლეგია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 332 | ვისლა-კერამიკა | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | | **ჰოკ. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 626 | ვსეტინი-სლავია | 2,35 | 4,0 | 2,1 | 1,48 | 1,1 | 1,37 |
| | | **ჰოკ. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 642 | ფრიბურგი-კლოტენი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 22.30 | 643 | ლოზანა-დავოსი | 2,7 | 4,0 | 1,85 | 1,61 | 1,09 | 1,26 |
| 22.30 | 644 | ლუგანო-სერვეტი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 22.30 | 645 | რაპერსვილი-ბერნი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 22.30 | 646 | ცუგი-ამბრი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 2025 | კოტბუსი-მიუნხენი | 3,3 | 2,1 | 2,8 | 1,28 | 1,51 | 1,19 |
| 18.30 | 2026 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3,5 | 2,1 | 2,6 | 1,31 | 1,49 | 1,16 |
| 18.30 | 2027 | ბაიერნი-ჰერტა | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1,01 | 1,38 | 1,68 |
| 18.30 | 2028 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,1 | 4,0 | 1,12 | 1,5 | 1,37 |
| 18.30 | 2029 | ბოხუმი-არმინია | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.30 | 2030 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 18.30 | 2031 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,7 | 2,1 | 3,4 | 1,18 | 1,5 | 1,29 |
| 19.00 | 2032 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,6 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,89 |
| 19.00 | 2033 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3,1 | 2,1 | 3,0 | 1,25 | 1,52 | 1,23 |
| 19.00 | 2034 | ბლეკბერნი-ფულემი | 2,4 | 2,1 | 4,0 | 1,12 | 1,5 | 1,37 |
| 19.00 | 2035 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 19.00 | 2036 | სიტი-ბოლტონი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 19.00 | 2037 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1,52 | 1,21 |
| 21.00 | 2038 | კომო-უდინეზე | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 23.30 | 2039 | რეჯინა-კიევო | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 00.30 | 2040 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 2041 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,2 | 2,15 | 4,7 | 1,08 | 1,49 | 1,47 |
| 20.30 | 2042 | ჰანოვერი-შალკე | 3,4 | 2,1 | 2,7 | 1,29 | 1,5 | 1,18 |
| 19.00 | 2043 | ლიდსი-ჩარლტონი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 16.15 | 2044 | ლივერპული-მანჩესტერი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 18.15 | 2045 | ნიუკასლი-ევერტონი | 2,3 | 2,1 | 4,4 | 1,09 | 1,51 | 1,42 |
| 18.00 | 2046 | ატალანტა-პერუჯა | 2,4 | 2,0 | 4,4 | 1,09 | 1,55 | 1,37 |
| 18.00 | 2047 | ბოლონია-მოდენა | 2,05 | 2,1 | 6,0 | 1,03 | 1,52 | 1,55 |
| 18.00 | 2048 | ემპოლი-მილანი | 5,3 | 2,05 | 2,2 | 1,47 | 1,55 | 1,06 |
| 18.00 | 2049 | ინტერი-ბრეშა | 1,5 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,26 | 2,07 |
| 18.00 | 2050 | პიაჩენცა-ლაციო | 4,7 | 2,05 | 2,3 | 1,42 | 1,54 | 1,08 |
| 18.00 | 2051 | ტორინო-პარმა | 3,3 | 2,0 | 3,0 | 1,24 | 1,57 | 1,2 |
| 23.30 | 2052 | რომა-იუვენტუსი | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |
| 20.00 | 2053 | ესპანიოლი-რაიო | 2,4 | 2,05 | 4,2 | 1,1 | 1,52 | 1,37 |
| 20.00 | 2054 | ვილიარეალი-უელვა | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 20.00 | 2055 | ბეტისი-ბილბაო | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 20.00 | 2056 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 20.00 | 2057 | რასინგი-მალაგა | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 20.00 | 2058 | ალავესი-ვალენსია | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 22.00 | 2060 | სოსიედადი-ბარსელონა | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 23.30 | 2061 | დეპორტივო-მალიორკა | 2,2 | 2,15 | 4,7 | 1,08 | 1,49 | 1,47 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 2062 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 2,6 | 2,1 | 3,5 | 1,16 | 1,49 | 1,31 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iᴾ კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ნოემბერი** | | | |
| 18.30 | 2525 | კოტბუსი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2526 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2527 | ბაიერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2528 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2529 | ბოხუმი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2530 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2531 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2532 | არსენალი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2533 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2534 | ბლექბერნი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2535 | ჩელსი-სანდერლენდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2536 | სიტი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2537 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2538 | კომო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2539 | რეჯინა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2540 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 2541 | ვერდერი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2542 | ჰანოვერი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2543 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.15 | 2544 | ლივერპული-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.15 | 2545 | ნიუკასლი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2546 | ატალანტა-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2547 | ბოლონია-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2548 | ემპოლი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2549 | ინტერი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2550 | პიაჩენცა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2551 | ტორინო-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2552 | რომა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2553 | ესპანიოლი-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2554 | ვილიარეალი-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2555 | ბეტისი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2556 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2557 | რასინგი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2558 | ალავესი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2560 | სოსიედადი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2561 | დეპორტივო-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 2562 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.30 | 2425 | კოტბუსი-მიუნხენი | 2,0 | 1,8 |
| 18.30 | 2426 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2,1 | 1,75 |
| 18.30 | 2427 | ბაიერნი-ჰერტა | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 2428 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2429 | ბოხუმი-არმინია | 1,5 | 2,6 |
| 18.30 | 2430 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,5 | 2,6 |
| 18.30 | 2431 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2432 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,3 | 3,4 |
| 19.00 | 2433 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1,95 | 1,85 |
| 19.00 | 2434 | ბლექბერნი-ფულემი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2435 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,3 | 3,4 |
| 19.00 | 2436 | სიტი-ბოლტონი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2437 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1,9 | 1,9 |
| 21.00 | 2438 | კომო-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 23.30 | 2439 | რეჯინა-კიევო | 1,9 | 1,9 |
| 00.30 | 2440 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1,9 | 1,9 |
| | | **1 დეკემბერი** | | |
| 20.30 | 2441 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,65 | 2,3 |
| 20.30 | 2442 | ჰანოვერი-შალკე | 2,1 | 1,75 |
| 19.00 | 2443 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,5 | 2,6 |
| 16.15 | 2444 | ლივერპული-მანჩესტერი | 1,8 | 2,0 |
| 18.15 | 2445 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2446 | ატალანტა-პერუჯა | 1,65 | 2,3 |
| 18.00 | 2447 | ბოლონია-მოდენა | 1,5 | 2,6 |
| 18.00 | 2448 | ემპოლი-მილანი | 2,5 | 1,55 |
| 18.00 | 2449 | ინტერი-ბრეშა | 1,25 | 3,6 |
| 18.00 | 2450 | პიაჩენცა-ლაციო | 2,2 | 1,7 |
| 18.00 | 2451 | ტორინო-პარმა | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2452 | რომა-იუვენტუსი | 1,85 | 1,95 |
| 20.00 | 2453 | ესპანიოლი-რაიო | 1,65 | 2,3 |
| 20.00 | 2454 | ვილიარეალი-უელვა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2455 | ბეტისი-ბილბაო | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2456 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,85 | 1,95 |
| 20.00 | 2457 | რასინგი-მალაგა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2458 | ალავესი-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 22.00 | 2460 | სოსიედადი-ბარსელონა | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2461 | დეპორტივო-მალიორკა | 1,55 | 2,5 |
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 2462 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 2,2 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.30 | 2225 | კოტბუსი-მიუნხენი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2226 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2227 | ბაიერნი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2228 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 2229 | ბოხუმი-არმინია | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2230 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2231 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2232 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2233 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2234 | ბლექბერნი-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2235 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2236 | სიტი-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2237 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2238 | კომო-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2239 | რეჯინა-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2240 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| | | **1 დეკემბერი** | | |
| 20.30 | 2241 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2242 | ჰანოვერი-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2243 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 16.15 | 2244 | ლივერპული-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 18.15 | 2245 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2246 | ატალანტა-პერუჯა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2247 | ბოლონია-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2248 | ემპოლი-მილანი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2249 | ინტერი-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2250 | პიაჩენცა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2251 | ტორინო-პარმა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2252 | რომა-იუვენტუსი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2253 | ესპანიოლი-რაიო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2254 | ვილიარეალი-უელვა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2255 | ბეტისი-ბილბაო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2256 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2257 | რასინგი-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2258 | ალავესი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2260 | სოსიედადი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2261 | დეპორტივო-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 2262 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (XVI ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (XII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XVII ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 20.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (XII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 30.11 23.00 | 2607 | ბელგია Iლ. (XIV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **30 ნოემბერი** | | | | | | | |
| 18.30 | 2125 | კოტბუსი-მიუნხენი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2126 | ნიურნბერგი-დორტმ. | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 | 2127 | ბაიერნი-ჰერტა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2128 | ჰანზა-მ.გლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.30 | 2129 | ბოხუმი-არმინია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 2130 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2131 | კ.ლაუტერნი-ვოლფსბ. | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 2132 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2133 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2134 | ბლექბერნი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2135 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2136 | სიტი-ბოლტონი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2137 | ვ.ბრომვიჩი-მიდლსბრო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 21.00 | 2138 | კომო-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2139 | რეჯინა-კიევო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 00.30 | 2140 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| | | | | **1 დეკემბერი** | | | | | | | |
| 20.30 | 2141 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.30 | 2142 | ჰანოვერი-შალკე | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 19.00 | 2143 | ლიდსი-ჩარლტონი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 16.15 | 2144 | ლივერპ.-მანჩესტერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.15 | 2145 | ნიუკასლი-ევერტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2146 | ატალანტა-პერუჯა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2147 | ბოლონია-მოდენა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 2148 | ემპოლი-მილანი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.00 | 2149 | ინტერი-ბრეშა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.00 | 2150 | პიაჩენცა-ლაციო | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.00 | 2151 | ტორინო-პარმა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2152 | რომა-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 2153 | ესპანიოლი-რაიო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 2154 | ვილიარეალი-უელვა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2155 | ბეტისი-ბილბაო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2156 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 2157 | რასინგი-მალაგა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 2158 | ალავესი-ვალენსია | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 22.00 | 2160 | სოსიედადი-ბარსელონა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 2161 | დეპორტივო-მალიორკა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | | | **2. დეკემბერი** | | | | | | | |
| 24.00 | 2162 | ვ.ჰემი-საუთჰემპტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.30 | 2325 | კოტბუსი-მიუნხენი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2326 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2327 | ბაიერნი-ჰერტა | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 2328 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2329 | ბოხუმი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2330 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2331 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2332 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2333 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2334 | ბლექბერნი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2335 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2336 | სიტი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2337 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2338 | კომო-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2339 | რეჯინა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2340 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1,75 | 1,85 |
| | | **1 დეკემბერი** | | |
| 20.30 | 2341 | ვერდერი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2342 | ჰანოვერი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2343 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 16.15 | 2344 | ლივერპული-მანჩესტერი | 1,6 | 2,0 |
| 18.15 | 2345 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2346 | ატალანტა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2347 | ბოლონია-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2348 | ემპოლი-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2349 | ინტერი-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2350 | პიაჩენცა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2351 | ტორინო-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2352 | რომა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2353 | ესპანიოლი-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2354 | ვილიარეალი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2355 | ბეტისი-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2356 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2357 | რასინგი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2358 | ალავესი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2360 | სოსიედადი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2361 | დეპორტივო-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| | | **2 დეკემბერი** | | |
| 24.00 | 2362 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**



რეჯი მილერმა და რონ არტესტმა „დალასის" ძლევა ასე აღნიშნეს

# განმეორება ძნელია

## ზედიზედ 15 XX საუკუნეში დარჩა

28 ნოემბერი

**ინდიანა 110:98 დალასი**

**ინდიანა:** ონილი (28 ქულა, 18 მოხსნა), ჰარინგტონი (21)
**დალასი:** ნეში (29), ნოვიცკი (17)

**კლიპერსი 126:118 ნიუ ჯერსი**

ძირითადი დრო 111:111
**კლიპერსი:** მილერი (37 ქულა, 16 პასი), ბრენდი (21)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (35), კოტლზი (19)

ნბა-ს ნაირგვარ რეკორდთაგან ერთ-ერთი პრესტიჟულისკენ მქროლ „დალას მავერიქსს" ბოლო საფეხურზე დაუცდა ფეხი. 15-15 მოგებით სეზონის უყოჩაღესად დამწყებებად ისევ 1948 წლის „ვაშინგტონ კეპიტალზი" და 1993 წლის „ჰიუსტონ როკიტსი" ითვლებიან. მათ ვერ შეუერთდა „დალასი", რომელსაც სწორედ მე-15 მატჩში მოეცარა ხელი და ოდენ „ბოსტონ სელტიქსის" მიერ 1957 წელს ნაჩვენები არცთუ ურიგო შედეგი გაიმეორა.

ვერ ვიტყვით, „დალასმა" აქამდელი მოგებები ვარდებივით კრიფაო, „მავერიქსს" 14-მატჩიან დაუმარცხებელ გზაზე რამდენიმე ეკლიანი მეტოქეც გადაეყარა, მაგრამ თითქოს ბედის ირონია იყო, რომ სწორედ რეკორდის ზღვარზე შეეჩეხა ყველაზე სერიოზულ გამოცდას: დასავლეთის ყოჩ დალასელებს აღმოსავლეთის უსტაბაში — „ინდიანა პეისერსი" მასპინძლობდა.

„ამ საღამოს დალასელებს შეეძლოთ ისტორიაში შესვლა. არ გვეხალისებოდა იმ მატჩის მონაწილენი ვყოფილიყავით, რომელშიც ასეთი რეკორდი მყარდებოდა. ეს გარემოება დამატებით სტიმულს გვაძლევდა და საბოლოოდ შევძელით ამ უსიამოვნო შეგრძნების თავიდან აცილება" — თქვა ნამატჩევს ინდიანელმა რონ არტესტმა.

დალასელებს საწყის წუთებში სწორედ არტესტმა გაუშრო სისხლი და „ინდიანა" 10:0 დააწინაურა. სტუმრები მალე გამოფხიზლდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, სწორედ საწყის თორმეტწუთეულში დაწინაურდნენ (24:23). მცირე ჩამორჩენის აღმოფხვრა იტვირთა ამ სეზონში ინდიანაპოლისში პირველად მოთამაშე რეჯი მილერმა, ვინაც გამოზომილი სამქულიანი მოხდენილად გადაავლო დალასელების ზონურ დაცვას. „თავიდან გაგვიჭირდა მეტოქის მედგარი ზონის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ ჩვენი ძალისხმევა საკმარისი აღმოჩნდა გასამარჯვებლად" — თქვა „ინდიანას" თავკაცმა აიზია ტომასმა.

ტეხასელები წელში გატეხა ამ ბოლო დროს თამაშის იმტაზე მოსულმა ჯერმენ ონილმა. მან 28 ქულითა და 18 მოხსნით ლომის წილი დაიდო ინდიანელთა წარმატებაში. მისი მეცადინეობით „ინდიანამ " მეორე ტაიმში 8 ქულაზე ახლოს არ გაიკარა „დალასი". სტუმრებმა გადამწყვეტი შტურმი ბოლო მეოთხედში მოაწყვეს. მატჩის მთავარმექულე სტივ ნეშმა მეოთხედის დებიუტში ზედიზედ 7 ქულა მიითვალა და „დალასი" 80:88 მიაახლოვა მეტოქეს, მაგრამ აქაც რეჯი მილერის სამიანი ჩაერია საქმეში და ინდიანელებიც საამყო გამარჯვებამდე არხეინად მივიდნენ.

28 ნოემბრის მეორე მატჩი ლოს ანჯელესში გათამაშდა და ფიცხელ ბრძოლაში გაილია. „კლიპერსმა" ვიცე-ჩემპიონი „ნიუ ჯერსი" ისტუმრა და ოვერტაიმში მოუგო. კალიფორნიელებს „კლივლენდიდან" ახალგადაყვანილმა ანდრე მილერმა მოუტანა გამარჯვება, ვინაც 37 ქულით კარიერის რეკორდი გაიმეორა და ამას ასევე სარეკორდო 16 პასიც მიაყოლა. მილერმა მატჩის უმეტეს ხანს მდევრად მყოფ ლოსანჯელესელებს ერთი ეპიზოდი 15:0 მოაგებინა და შეხვედრის მიწურულისკენ 101:96 გაალიდერა. სტუმართა ანგარიშზე 35 ქულის ჩამწერმა ჯეისონ კიდმა მთელი თავისი გამოცდილება ჩააქსოვა „ნიუ ჯერსისთვის" ლიდერობის დაბრუნებაში და თავის გუნდს ძირითადი დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე 3-ქულიანი უპირატესობა დაუბევა — 111:108. გადამწყვეტ მომენტში ისევ ანდრე მილერმა გაიბრწყინა და სამქულიანით ტაბლოს ექვსი ერთიანი აასახვინა. ოვერტაიმში კი კალიფორნიელებმა შანსი აღარ დაუტოვეს ნიუჯერსელებს და იმავ მილერის შეწევნით გამარჯვებამდეც მივიდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

# ჯორდანი წავა და კვლავ მოვა?!



**მაიკლ ჯორდანმა** სენსაციური განცხადება გააკეთა. საზოგადოდ დიდ კალათბურთელს ხშირად წარმოუთქვამს შოკისმომგვრელი სიტყვები. ჯორდანი ზრდილი პიროვნებაა, მეუეთქავი დემოკრატიის ქვეყანა-ციტადელში ლამისაა, მოქალაქის იდეალად იქცეს და ისეთ რამეს არ დააბრეხვებს, რასაც მისი გიქმაგი ძმაკაცი ჩარლზ ბარკლი. ჯორდანი არასდროს იტყვის ასეთ რამეს — „ამერიკული კალათბურთი ტრ...კენ მიექანება", ანაც „ამ დედამო...ულ ქვეყანაში შავები ისევ მონები არიან", მაგრამ მის განცხადებებს არაერთხელ აუღელვებია მეგასაზოგადოება. ყველამ ვიცით, მაიკლი ვერაა სიტყვის ოსტატი, ის ბურთის ოსტატია და ცხოვრებაში მხოლოდ ორ რამეს აკეთებს — თამაშობს კალათბურთს, ან არ თამაშობს კალათბურთს. მისი სენსაციებიც მისი ცხოვრების მერყევი რიტმიდან გამომდინარეობს. ამ ხუთშაბათს ჯორდანმა რამდენიმე საინფორმაციო საშუალებას, მათ შორის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს", გაუმხილა, რომ მიმდინარე სეზონის შემდეგ კალათბურთს თავს დაანებებს. პირველხარისხოვანი სენსაციაა, არა?!

მაიკლ ჯორდანს პირველად არ უთქვამს ეს სიტყვები. ის ახლა, ისევე როგორც ყოველი წასვლის წინ, გვიმტკიცებს, რომ აღარასოდეს დაბრუნდება მოედანზე. „ჩემი დაბრუნების შანსი არ არსებობს — ამბობს ის — ალალად გეტყვით, ახლა მე მხოლოდ კონტრაქტის პირობებს ვასრულებ, რის თანახმადაც ეს სეზონი უნდა ვითამაშო. კონტრაქტის განახლებას არ ვაპირებ, მხოლოდ ამ სეზონის ჩამთავრება მაქვს გულში. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ აღარ დავბრუნდები." ჯორდანი აღარ იტოვებს უკან მოსაბრუნებელ ბილიკს. ორი წლის წინ, მეორე „შვებულებაში" ყოფნისას მაიკლმა ბრძანა — 99,9 პროცენტითა ვარ წასუ ლიო, ორ თვეში კი მობრუნდა. ახლა მან თავად მოიჭრა გზა. საინტერესოა, რა უნდა ქნას საწყალმა, ასე ხუთი წლის შემდეგ ისევ რომ მოეხასიათოს თამაში? ალბათ, საკუთარ თავთან დიდ წინააღმდეგობაში არ ჩავარდება, ადგება და მობრუნდება...

ისე, მისი წასვლა-მოსვლების სიხშირის ცვლაზე კარგად აისახება ასაკის მატება. 1993 წელს პირველად რომ წავიდა, 30 წლის იყო და უკალათბურთოდ სულ 18 თვე გაძლო, შემდეგ, 1995 წლის გაზაფხულზე მობრუნებულმა 3,5 წელი ითამაშა და, ცხადია, წავიდა. 3-წლიანი უქმობის შემდეგ 2001 წელს მობრუნდა, რათა 2 წელიწადში წასულიყო. ახლა ის კარგა ხნით დაისვენებს და, ჩვენი გამოთვლით, ასე 4-5 წლის შემდეგ შეიძლება გაუჩნდეს ახალგამოჩენილ ვარსკვლავებთან დატოლების სურვილი. და მაშინ მაიკლ ჯორდანი გააკეთებს სენსაციურ განცხადებას, დაახლოებით ასეთს — „თავს 25 წლის ბიჭად ვგრძნობ და მზად ვარ, ვითამაშო". არც ის გაგიკვირდეთ, თუ მან კიდევ ათწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება ინება, ვთქვათ, 1 თამაშით...

თუმც დავუბრუნდეთ რეალობას, რომელშიც მაიკლ ჯორდანი მუხლის მძიმე ოპერაციაგადატანილი, სათადარიგოთა სკამის დამამშვენებელი ვეტერანია მქუხარე წარსულით. ჯორდანი მაინც ყოჩაღია, ამ თებერვალს 40 წელი უსრულდება და ამხელა კაცი ყოველ თამაშში საშუალოდ 16,6 ქულას აგროვებს. მართალია, ეს მაჩვენებელი უარესია მის 15-სეზონიან კარიერაში, მაგრამ ამის გამო ვის დასცდება აუგი? პირიქით, მისით ყველა აღტაცებულია, მწვრთნელ დუგ კოლინზით დაწყებული, კალათბურთის თამაშზე შემთხვევით მოხვედრილი მაყურებლით დამთავრებული. ამ 16,6 ქულით მაიკლ ჯერი სტექჰაუზის შემდეგ „ვაშინგტონის" მეორე ბომბარდირია.

კოლინზი ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ეს გამოცდილი მწვრთნელი ჯორდანმა ამ ორი წლის წინ მიიყვანა „ვაშინგტონში". მაშინ ჯორდანი კლუბის პრეზიდენტი და თანამფლობელი იყო და თუ სიმართლე გნებავთ, როგორც ადმინისტრატორს დიდი წარმატებები არც ჰქონია. ნაწილობრივ ამის ბრალიცაა, რომ ჯორდანს გულმა ისევ მოედნისკენ გაუწია. ასე თუ ისე ვუშველი ჩემს წყალწაღებულ გუნდსო და თითქმის უშველა კიდეც. ის ყოველ თამაშში 24-25 ქულას აგროვებდა, სანამ წყეული მუხლი ასაკს არ შეახსენებდა და საოპერაციო მაგიდაზე არ დააწვენდა.

**ირაკლი ფირუზვილი**

# DREAM TEAM გაცოცხლდა

## ლარი ბრაუნს მოხალისეების რიგი დაუდგა



**ამერიკელებმა** 2004 წლის ათენის ოლიმპიადისთვის მზადება თავიდან დაიწყეს, ანუ პირველ რიგში ვაჟ კალათბურთელთა ჯერ არარსებულ ნაკრებს მწვრთნელი დაუნიშნეს. ამერიკული კალათბურთის განმგებთა 10-კაცა კომისია დიდხანს ბჭობდა, ვის ჩააბარებდა ქვეყნის ამ ცოტა ხნის წინ შელახულ ღირსებას. ოთხი კანდიდატიდან ერთი უნდა შეერჩეულიყო, კანდიდატები კი სწორედაც რომ ერთმანეთის მჯობნი იყვნენ. აი, ისინიც: პატ რაილი — 80-იან წლებში „ლეიკერსის" ოთხჯერ გამჩემპიონებელი, სამგზის სეზონის საუკეთესო მწვრთნელი, ამჟამად „მაიამი ჰითის" თავკაცი; ფილ ჯექსონი — „ჩიკაგოს" ექვსჯერ და „ლეიკერსის" სამჯერ გამჩემპიონებელი, 1995-96 წლების სეზონში ყველა კოლეგაზე წინ დაყენებული კაცი; ჯერი სლოუნი — 1997 და 98 წლებში „იუტას" ფინალში გამყვანი, ფრიად პატივცემული ბერიკაცი; ლარი ბრაუნი — 2000-01 წლების სეზონის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, „ფილადელფიას" ფინალში გამყვანი.

კომიტეტმა უკანასკნელი ირჩია, რაკი ბრაუნს საერთაშორისო ტურნირებში მუშაობის ყველაზე მდიდარი გამოცდილება აქვს. 1964 წელს მან როგორც მოთამაშემ მოიგო ოლიმპიადა, 1996 და 2000 წლების ოლიმპიადებზე კი ჯერ ლენი ვილკენსის, შემდეგ კი რუდი ტომიანოვიჩის პირველი ასისტენტი გახლდათ. „მათ ქვეყნის ნაკრები მანდეს და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდოა" — თქვა ბრაუნმა.

რაკი ნაკრებს თავკაცი უკვე ჰყავს, ამერიკული კალათბურთის მამებმა ნაკრების წევრთა შერჩევაზეც იწყეს ზრუნვა. ამ მხრივ გუნდის ზოგიერთი წევრი უკვე ცნობილია. ბობოლა ვარსკვლავებმა ტიმ დანკანმა (სან ანტონიო), ტრეისი მაკგრეიდიმ (ორლანდო), ჯეისონ კიდმა (ნიუ ჯერსი) და რეი ალენმა (მილუოკი) უკვე თანხმობა განაცხადეს წინასაოლიმპიადო კვალიფიკაციაში მონაწილეობაზე, რაც თავად ოლიმპიადაზე თამაშის თანხმობასაც ნიშნავს. ასევე გამოთქვა თამაშის სურვილი ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა, თუმცა მისთვის ოფიციალურად არავის არაფერი უთხოვია. ადრე კობი ცხვირს უბზუებდა ნაკრებს, არაამერიკელ კალათბურთელებს დაბალ „რასად" თვლიდა და მათზე ხელის გასვრას არ კადრულობდა, მაგრამ წლეულს ინდიანაპოლისში ნბა-ელთა კრახის შემდეგ იკარდა უცხოელებთან თამაში, თუმც ცხვირი მაინც არ დაუშვია. „მინდა, ყველა დავამარცხო, რომ დავამტკიცო ჩვენი ერის უპირატესობა სხვებზე" — აი, ასეთ რამეებს გაიძახის ვარსკვლავბიჭუნა. ამის გარდა ის თანაგუნდელ შაკილ ონილის მაგიერადაც ამბობს თანხმობას. „ამასწინათ შაკს ველაპარაკე ამ თემაზე. მითხრა, თუ შენ აპირებ თამაშს, მაშინ მეც ვითამაშებო" — ამბობს ბრაიანტი.

კობის ნათქვამი ხეირიანად არც გავრცელებულიყო ვარსკვლავის ქვეყანაში, რომ ლარი ბრაუნის შეგირდმა, „ფილადელფიას" ჭინკა ლიდერმა ალენ აივერსონმაც წამოყო თავი. „დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ოლიმპიადაზე, მით უმეტეს, რომ მწვრთნელად ლარი იქნება. ოლიმპიურ და ნბა-ს ჩემპიონობას ერთდროულად მოვიპოვებდი და კალათბურთიდანაც წავიდოდი" — აივერსონმა უკვე ააგო ბროლის კოშკები. ისე, იგი 27 წლისაა და ორ წელიწადში ნაღდად არ წავა კალათბურთიდან.

სუპერვარსკვლავების ხმაურიანი განცხადებების ფონზე ახალორლეანელმა ჯამალ მაშბურნმა მოკრძალებით ითხოვა, იქნებ მეც მათამაშოთო, მაგრამ, სავარაუდოდ ვარსკვლავთა მეორე ეშელონის ამ წარმომადგენლისათვის 12-კაცა ნაკრებში ადგილი არ გამოიძებნება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ამერიკაში ნაკრების გარშემო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. უწინ ყველას ეზარებოდა ოლიმპიადებზე და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ცუდად შრომა, მაგრამ ამ რამდენიმე თვის წინ ნბა-ს სიძლიერით ასე მეორე-მესამე ნაკრებმა არგენტინასთან, იუგოსლავიასთან და ესპანეთთან სამარცხვინოდ წააგო. ღრუბლებში მფრინავ ამერიკელებსაც კუდი მოეწვათ და აი, რამხელა ამბავი ატეხეს. ბრაიანტის თქმისა არ იყოს, აპირებენ, რომ საკუთარი ნაციის უპირატესობა ყველა „ვიგინდარას" დაუმტკიცონ.

**ირაკლი ფირუზვილი**

# ილ!



# ლეიტონ ჰიუიტის აპოლოგია

*პატრიკ მაკინროი, ლეგენდარული ჯონ მაკინროის ძმა და ამერიკელ მედევისეთა კაპიტანი ლეიტონ ჰიუიტის ერთი უდიდესი ქომაგთაგანია. ქვემოთ წარმოდგენილ წერილში ის ცდილობს, აგვიხსნას, თუ რა განაპირობებს ამ 21 წლის ავსტრალიელის უკვე ერთწლოვან ზეობას*

დღეს ხშირად გაიგონებთ იმას, რომ საჩოგბურთო წარმატების საფუძველთა საფუძველი ფიზიკური სიმძლავრეა. მაინტერესებს, ასე მოფიქრალი ადამიანები როგორ შეაფასებდნენ კაცთა შორის უპირველესი მეჩოგნის თამაშს. ლეიტონ ჰიუიტს, რომელიც მხოლოდ 1,80 მეტრის სიმაღლისაა და კაფანდარა სხეულით 68 კილოგრამი დააქვს, ცხადია, თავისი ორი სლემტიტული და მსოფლიოს მთავარმოთამაშის სტატუსი ჯანითა და სიმძლავრით არ მოუხვეჭია. მისი ძალა უშცდარობა, სისწრაფე და საოცარი ბრძოლისუნარიანობაა. წლების განმავლობაში მრავალნი და მათ შორის მეც, ვეჭვობდით, საკმარისი იქნებოდა თუ არა მისი ეს სათუთლუე თვისებები დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად. თავადაც ხედავთ — საკმარისი ყოფილა.

### მოწოდება

საჩოგნეთში ყველაზე ნაკლებად „პატივდებული" ჰიუიტის მოწოდებაა. მისი მოწოდება მართლაც არ არის გლაჯუნა და მოეისე, მაგრამ ბურთს ის მაინც კარგად, მეტოქისთვის სუსტ პოზიციაში „ათავსებს" — განსაკუთრებით გადამწყვეტ მომენტებში — და საჭიროებისამებრ ხან ჩახვეულს აწვდის, ხანაც შედარებით ძლიერსა და ჩაუხვეველს. შედეგად — მისი მოწოდება არ არის ადვილი მოსაგერიებელი და, როგორც წესი, მისთვის უპირატესობა მოაქვს.

### დაბრუნება

კაცთა შორის ჰიუიტი საუკეთესო დამბრუნებელია. შესაძლოა, აგასის დაბრუნება უფრო ჩამშლელი, უხერხული იყოს, მაგრამ ჰიუიტი ბურთის თამაშში დატოვებას მაინც უფრო სტაბილურად ახერხებს. მას საოცრად გრძელი ხელები აქვს, რაც შორი ბურთების დაბრუნებასაც შეაძლებინებს. ის მე ჯიმი კონორსს მაგონებს — მის მსგავსად ჰიუიტსაც შეუძლია, ბურთი არა მხოლოდ დააბრუნოს, არამედ ეს ისე გააკეთოს, რომ ქულისთვის თანაბარი ბრძოლის შანსიც შეინარჩუნოს. ის საოცრად იცავს წონასწორობას, უსწრაფესი ხელები აქვს და მეტოქის მოწოდებასაც კარგად კითხულობს... ჩოგბურთში ნაკლებად ჩახედულ ადამიანს ალბათ ვერ წარმოუდგენია, თუ რა დამთრგუნველად მოქმედებს მოთამაშეზე, როცა მის მიერ მოწოდებული ბურთები უხშირესად ბრუნდება უკან!

### ფეხმარდობა

ის ციბრუტივით ბზრიალაა და უჩვეულოდ ხშირად ახერხებს, ყოველ მორიგ დარტყმას საჭირო მდგომარეობაში დახვდეს. მრავალთაგან განსხვავებით, ის არ ჰკარგავს წონასწორობას, რადგანაც გადარბენა-გადმორბენისას წელგამართული კი არ არის, არამედ, დახვეწილი ნადირივით იკუმშება და დაბლდება, რაც მას ნებისმიერ უხერხულ, მათ შორის დაბალ ბურთსაც აგერიებინებს. ის მაქსიმალურად სხარტია, ხოლო როცა ურტყამს, უკვე იმაზე ფიქრობს, თუ საით მოუბრუნებს ბურთს მეტოქე. შეიძლება ითქვას, რომ ის არა მარტო ფეხმარდი, არამედ ტვინმარდი მეჩოგნეცაა. ბევრი მოთამაშე ბურთს ეგებ არანაკლები სისწრაფით დასდევდეს, მაგრამ მისდარად არავინ ითვლის შესაძლო კომბინაციებს.

### მკვლელის ინსტინქტი

წარმატებას ხშირად ისიც განაპირობებს, თუ როგორ თამაშობს ესა თუ ის ჩოგბურთელი უპირატესობისას. ასე მაგალითად — მრავალი ცდილობს, ბრეიკპოინტებზე თუ სეტპოინტებზე რაიმე განსაკუთრებული გააკეთოს და... ფლავდება. ჰიუიტს კი მკვლელის ინსტინქტი აქვს. როცა იგებს, კიდევ უფრო სტაბილურად, აუღელვებლად და თანაბრად თამაშობს. ბადესთან მიჭრას, თამაშის გამწვავებასა და აშკარა იერიშზე გადასვლას ის მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა მარცხდება და ვითარება გამოსასწორებელია, მაგრამ — ნურას უკაცრავად, მაშინ — როცა ის წინაა. მეტოქეს ის თავისი თანმიმდევრულობით თანგავს.

### მოუწყვლელობა

თუკი ჰიუიტის თამაშს დააკვირდებით, უმალვე შეამჩნევთ, რომ არსენალში მას ერთი ისეთი დარტყმაც არ მოეძევება, მეტოქეს პრობლემები რომ შეუქმნას. მას არა აქვს როდიკისებრი მძლავრი ხელწალმა თუ სამპრასისებრი მოწოდება, მაგრამ ის მაინც საშიში მოთამაშეა. ის თითქმის მოუწყვლელია და მისი ეს მოუწყვლელობა თუ მოუხელთებლობაა სწორედ მისი უდიდესი იარაღი. ჰიუიტი უსწრაფესია და ვერავინ ფარავს კორტს ისე სხარტად და შეუვალად, როგორც ის. და კიდევ — მისი შესაშური სტაბილურობა! მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ზუსტი, მიზანუმცდარი დარტყმების სტაბილურობას, უფრო მის მთლიან გარჯასა და მენტალობაზე მოგახსენებთ. მას არა აქვს აღმართები და დაღმართები — ის იშვიათად ვარდება და იშვიათად აღზევდება. სანაცვლოდ მთელი მატჩის განმავლობაში, რაგინდ დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს ის, ჰიუიტი თანმიმდევრულად, მიზანმიმართულად მიიწევს წინ.

ყოველივე ამის გამო მასთან თამაში ძალიან ძნელია. მისმა ყოველმა მეტოქემ იცის, რომ მის დასამარცხებლად იმაზე უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო, რასაც სხვა მეჩოგნეთა წინააღმდეგ აკეთებს. მით უფრო, რომ ჰიუიტი არასოდეს ნებდება. შეიძლება, 40:0 უგებდე, მაგრამ არ უნდა გაგიკვირდეს, თუკი მალე მეტობა-ნაკლებობაზე ბუღრაობა მოგიხდება. შეიძლება, 5:1 უგებდე, მაგრამ ის არასოდეს დაკარგავს თავდაჯერებასა და კონცენტრაციას. კაცთა ამქარში ბევრი მასზე ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ მისი ხადარი სისწრაფე, სიკერპე, კორტის შეგრძნება თუ ნებელობა არავისა აქვს. ამ თვისებათა შეხამება ქმნის ლეიტონ ჰიუიტის საჩოგნაო ფილოსოფიას, ფილოსოფიას, რომელსაც მსურს, ყველა მისდარი, ისე-რა ფიზიკური მონაცემების მეჩოგნე ეზიაროს.

# ძალიან გალეშილი ძალიან ნიჭიერი

## სამპრასმა მატყუარა მალისი იწინასწარმეტყველა

*„ის ძალიან ნიჭიერია, მისგან ბევრს უნდა ველოდოთ" — ეს სიტყვები პიტ სამპრასმა ბელგიელი ქსავიე მალისის შესახებ 1998 წელს, ფილადელფიური ტურნირის საწყის ეტაპზე მასთან სამსეტიან ბუღრაობაში გამარჯვების შემდეგ წარმოთქვა. მას შემდეგ საჩოგბურთო თვალსაზრისით რიგიანი ჟამი გამოხდა და წლევანდელი სეზონი მალისმა უკვე საუკეთესო 50-ეულის წარმომადგენლად დაიწყო, დამთავრებით კი სულაც 22-ედ დაამთავრა. ყველაზე დიდ სტიმულად მომავალ სეზონში მას წლეულს უიმბლდონურ ნახევარფინალამდე ჩაუქი ჩოგნობა გაჰყვება, თუმცა იმასაც ხალისით მოიგონებს, რომ მემფისურ თუ სკოტსდეილურ ფინალებამდეც მხოლოდ ერთი მატჩის მოგება დააკლდა... „ტენის მეგეზინის" ჟურნალისტი ამომავალ ვარსკვლავს ამ ორიოდე დღის წინ გაესაუბრა*

**ცვლილებები:** „ადრე მატჩის წინა დღეს ბარში მივდიოდი და ვილეშებოდი, ახლა კი ასეთი რამე გამორიცხულია... სამი წლის წინ მხოლოდ ერთ საათს ვვარჯიშობდი, ამჟამად სამი საათიც აღარ მყოფნის. ამას გარდა, უფრო დავმშვიდდი კიდეც. ადრე თუ კორტზე რამე არ მომეწონებოდა, ვხელდებოდი და მატჩიც ჩოგნიდან მისხლტებოდა. დღეს ასეთს იშვიათად მნახავთ — რა, განა ასე არ სჯობს?!".

**მეგობრები:** „1999 და 2000 წლები ჩემთვის უსაშინლესი იყო. მაშინ მეგობრებმა მიშველეს — ისინი გამუდმებით მოითხოვდნენ ჩემგან, საქმეს უფრო სერიოზულად მოვკიდებოდი და თავდაუზოგავად მეშრომა. აკი, მაიძულეს კიდეც".

**საქმის საუკეთესო მხარე:** „მთელ მსოფლიოში მოგზაურობ. აბა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს".

**საქმის უცუდესი მხარე:** „მარტო ხარ. სულ თვითმფრინავში, სულ ოტელში. მოსაბეზრებელია".

**სანუკვარი საქმე:** „სიამოვნებით ვიმსახიობებდი. ყოველთვის მაგარი მატყუარა ვიყავი. ჩემი უსაყვარლესი მსახიობები ბრიუს უილისი და ჯეკ ნიკოლსონი არიან".

**სპორტი და დასვენება:** „როცა უქმე კვირა მაქვს, გოლფის თამაშით ვერთობი. როცა შინ, ფლორიდაში ვარ, ოთხშაბათობით ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში ფეხბურთს ვთამაშობ. ჩოგბურთის მერე ეს ჩემი უჯილესი სპორტია. ფილმებიც ძალიან მიყვარს. რომ შემეძლოს, ალბათ ყოველდღე ვივლიდი კინოში".

**საჩოგბურთო კერპები:** „ყველაზე მეტად მათს ვილანდერი და შტეფან ედბერგი მომწონდა. ვილანდერი გაუტეხელი, კარგად მოკონტრავე მეჩოგნე იყო, ედბერგი კი — დიდებული მოაწოდემიეძალე ტიპის მოთამაშე".

**საოცნებო სლემტიტული:** „ნებისმიერი მათგანი მეძვირფასება, მაგრამ უმეტესად მაინც აშშ-ის ღია პირველობის მოგებაზე ვოცნებობ. მიყვარს იქაური ხმაურიანი, მჩქეფარე ატმოსფერო. დიდებულია რამაა".

**სადილი გამარჯვების შემდეგ:** „ორი ბიგმაკი, სპრაიტი და ფრანგული ჩიპსები. მე მიყვარს ჩიპსები — ბელგიაში მათ ყველაზე კარგად აკეთებენ".

**ლევან ძელაურაძე**



ქსავიე მალისი

## ჰოკეი




„ატლანტას" მეკარე ბაირონ დაფო ყოჩაღად დაუხვდა ნიუიორკელებს

### რეგულარული ჩემპიონატი

# ბიჭმა მენა წაიბრძოლა

28 ნოემბერი

**ატლანტა 7:4 რეინჯერსი 1:1 3:2 3:1**

**0:1 ნედვედი (2), 1:1 კოვალჩუკი (17), 1:2 ლინდროსი (21), 2:2 ჰერპერგერი (32), 3:3 ლიჩი (36), 4:3 შტეფანი (39), 4:4 ბური (41), 5:4 შტეფანი (47), 6:4 მაკიკრნი (54), 7:4 მაკიკრნი (56)**

დღესდღეობით რეინჯერსის არც ისე ცუდადაა აქვს საქმე. 10-ჯერ მოიგო კიდეც, მაგრამ 25 მატჩში 23 ქულა სულაც არ არის ის, რასაც წლეულს ელოდნენ გუნდისგან. ქულებსაც რომ თავი დავანებოთ, გუნდის თამაში კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ატლანტასთან მატჩში ნიუიორკელებს საშუალება ჰქონდათ, 50-პროცენტიან ზღვრისთვის მიეღწიათ, მაგრამ ასე საშინლად ითამაშეს, რომ ლიგაში ერთ-ერთ დაბალშედეგიან გუნდს 7 გოლი გაატანინეს, თანაც რა გოლები! უკლებლივ ყველა მცველთა უხეშ შეცდომებს მოჰყვა, რის შემდეგაც ხან ორი ატლანტელი რჩებოდა მეკარესთან პირისპირ, ხანაც — სამი.

„უამრავი სახიფათო მომენტი შევაქმნევინეთ, ამდენი 7 თამაშშიც არ ყოფილა ჩვენს კართან. ასე თამაში არ შეიძლება" — გამოცდილი პარტნიორები რეინჯერსის 19 წლის მეკარე დენ ბლექბერნმაც კი გააკრიტიკა.

**ფინიქსი 2:4 ჩიკაგო 1:4 0:0 1:0**

**0:1 ბერეზინი (3), 0:2 დემპსი (7), 0:3 დაზე (8), 1:3 დოუნი (16), 1:4 ჟამნოვი (16), 2:4 დოუნი (47)**



ვარშავაში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატიდან ძალოსანი გიორგი ასანიძე ხუთშაბათს ღამით დაბრუნდა. ჩაფიქრებული ინტერვიუ შეგნებულად მეორე დღისთვის გადავდეთ, რამეთუ წინასწარ ვიცოდით, რომ ტრავმამიღებულ ვერცხლის პრიზიორს სამეგობრო წრე სრული შემადგენლობით დახვდებოდა აეროპორტში. მისი მოხელთება არც მომდევნო დღეს აღმოჩნდა იოლი. საღამო ხანს, მცხეთისკენ მანქანით მიმავალი ასანიძე ნახევარი საათით რედაქციისკენ მოვატრიალეთ და საახლობლო სუფრას მოვწყვიტეთ. მისი თვალით დანახული ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიები, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს. აქვე დავძენთ, რომ ჩვენი საუბარი მარტო მსოფლიოს პირველობას როდი შეეხო...



# ტყუპი ბიჭი სჯობს ტყუპ ოქროს

## ასანიძე ქართულ საქმეს შინ და გარეთ აკეთებს

**— გიორგი, „სარბიელმა" თბილისში ჩამოსვლამდე მოგილოცათ ვერცხლის მედალი, უპირველესად გვაინტერესებს, რამდენად სერიოზულია ტრავმა და რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა...**

— თავდაპირველად შევეცდები ავხსნა, თუ რამ გამოიწვია ტრავმა. აკვრაში 202,5კგ რომ შევუკავეთ, „შტანგა" წინ დამრჩა, შევეცადე გავკიდებოდი მხრების ხარჯზე, ვინაიდან მარჯვენა იდაყვზე ძველი ტრავმის გამო სიმძიმე გადატანილი იყო მარცხენა მხარეს, აკვრისთვის სიმაღლე არ მეყო, ვიგრძენი სახსარში მოძრაობა, რომელიც ალბათ კარგა ხანს გამახსენებს თავს. კომპიუტერული გამოკვლევა ვარშავაში ჩამიტარეს. აღმოჩნდა, რომ ძვალი მთელია, სახსრის ბუდესთან მყესებია დაზიანებული. მხრის წინა კუნთიც გახეულია. არის შანსი, რომ მკურნალობა უოპერაციოდ დასრულდეს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ბერძენ, რუს და თბილისელ სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ ოპერაციაზეც დავთანხმდე. პოლონეთში შეჯიბრების გაგრძელების გადაწყვეტილება მე თვითონ მივიღე და ალბათ ღმერთიც შემეშველა, ტრავმა კიდევ უფრო სერიოზული რომ არ აღმოჩნდა.

**— მსაჯებს რას ერჩოდით, თითის ქნევა რამ გაიძულათ?**

— ალბათ ნახეთ, რომ ტკივილის გამო იქვე ჩავჯექი. ამ დროს მესმის, რომ ცდა არ ჩაითვალა. ამ სიტყვებმა ისე გამამწარა, თითქოს ტკივილი დამავიწყდა. კულისებში გამიკეთეს გამაყუჩებელი, კუნთი გამიყინეს. დიდი თხოვნის მერე ჩემი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი დავითანხმე, რომ შეჯიბრება გამეგრძელებინა. გასაგები მიზეზების გამო იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო. რაც შეეხება თითის დაქნევას, უდიდესი დატვირთვისა და ტკივილების ქვეშ მომდევნო წონა რომ დავძლიე, თითიც ალბათ ჩემდა უნებურად გავიქნიე. შეგნებულად ან კონკრეტულად ვინმესთვის ეს ნამდვილად არ გამიკეთებია...

**— მოდით, ახლა თქვენს ძველ და ახალ კონკურენტებზე ვისაუბროთ...**

— გერმანელ ჰუსტერზე თქვენ უკვე წერდით, იგი ათენის ოლიმპიადაზე ალბათ აღარ გამოვა. ბერძენი პიროს დიმისი იყო ვარშავაში ჩამოსული, ფიცარნაგზე არ გამოსულა, მაგრამ ვიცი, რომ წონა შეიცვალა (94კგ-ში გადავიდა) და მომავალი თამაშებისთვისაც ემზადება. რაც შეეხება ირანელ ნასირინიას, იგი პოლონეთში არ ჩამოსულა. ვიცი, რომ ისიც 94-იანებში გადავიდა და ათენში აუცილებლად იასპარეზებს.

ახლებიდან ყველაზე ძლიერმა მეტოქემ, ბელარუსმა საშა ანიშენკომ ტრავმის გამო პირველობა გამოტოვა. ანგარიშგასაწევია ჩემპიონი ბულგარელი ვანევი და მესამე პრიზიორიც, ასევე ბელარუსი ნოვიკოვი. მათ გარდა კიდევ ორნი, ალბანელი საფირი და პოლონელი რიდკოვსკი იბრძოლებენ ათენში მედლებისთვის. აქვე გეტყვით, რომ თუ ტრავმა ადვილად მოვირჩინე, მათთან ჭიდილში პრობლემები არ მექნება, იმდენად დიდი უპირატესობა მაქვს აკვრაში.

**— ვარშავაში დოპინგზე ხომ არავინ გამოუჭერიათ?**



გიორგი ასანიძის კახის აპრილში ტყუპი ძმა შეემატება

— მე დოპინგზე ჯერ კიდევ მომზადების დროს გამსინჯეს. ვიცი, რომ შეჯიბრების შემდეგ ყველა პრიზიორი კიდევ ერთხელ დააყენეს კონტროლზე. ვინ „წამოეგო ანკესზე", ეს სამი კვირის მერე გაცხადდება. ზუსტად ამდენი დრო სჭირდება ანალიზის პასუხს.

**— რატომ გამოტოვა მსოფლიოს პირველობა კახი კახიაშვილმა?**

— კახის ძველმა ტრავმებმა გაახსენეს თავი. აკვრაში ვერ იყო ბოლომდე მომზადებული, აკვრაში კი დღესაც ყველაზე ძლიერია. წინა ოლიმპიური თამაშების მერე ეს იქნებოდა მისი პირველი გამოჩენა ფიცარნაგზე და ეტყობა, არ ჰქონდა სურვილი, საპრიზო სამეულის მიღმა დარჩენილიყო. ასეთი სიფრთხილე გამართლებულია იმითაც, რომ იგი ახალ წონით კატეგორიაში გადავიდა. ამჯერად მან მეტოქეების დაზვერვა ამჯობინა. მჯერა, რომ იგი ათენში კიდევ იტყვის თავის სათქმელს.

**— შენი ვაჟის მომავალი ნათლია კარგა ხანია, საქართველოში არ ჩამოსულა...**

— მე როგორც ვიცი, იგი გაზაფხულზე აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. მომავალი წლის ევროპის ჩემპიონატს საბერძნეთი მასპინძლობს და კახი იქ აუცილებლად იასპარეზებს. რაც შეეხება ჩემი პატარა კახის მონათვლას, ასეთ შანსს ხელიდან აღარ გავუშვებთ და კახის თბილისში ჩამოსვლას სათანადოდაც აღვნიშნავთ.

**— ყურმოკვრით ვიცით, რომ პოლონელებმა საკმაოდ შეავიწროვეს შენი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი. შენზე უკეთ ვერავინ აგვიხსნის საქმის ვითარებას.**

— ეს პრობლემა კარგა ხნის წინ წამოიჭრა და დღესაც აქტუალურია. მიზეზები კი ძნელი ასახსნელი სულაც არ არის. ქართველები ჩავდივართ პოლონეთში მოსამზადებლად და შემდეგ შეჯიბრებებზე მათზე უკეთეს შედეგებს ვაჩვენებთ. ბატონ ვანოს დიდი სახელი აქვს პოლონეთში, იგი მათ ოლიმპიურ იმედს, კოლეცკისაც ავარჯიშებს. ამას დაუმატეთ ჩემი შედეგებიც, როცა მათი საკლუბო გუნდის სახელით გამოვდივარ. პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციაში კი არის ხალხი, რომელიც ამას ხედავს და ამ უსიამოვნო ტალღას აკავებს, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ოლიმპიადისთვის ქართველები ისევ პოლონეთში მოვემზადებით.

**— მოდით, დავაზუსტოთ, რჩება ვანო გრიქუროვი პოლონეთში სამუშაოდ თუ არა?**

— სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ბეჟუაშვილი მოწადინებულნი არიან, რომ ვანო გრიქუროვი თბილისში დააბრუნონ. ვიმედოვნებ, მას ისეთ პირობებს შეუქმნიან, რომ საქართველოს ნაკრები აქვე მოემზადება. თუ ასე არ მოხდა, პირადად მე ოლიმპიური ოქროს მოპოვება ძალიან გამიჭირდება.

**— საოლიმპიადო ლიცენზიებისთვის ბრძოლა კი მომავალი წლიდან დაიწყება...**

— ტრავმის გამო ევროპის პირველობას ალბათ გამოვტოვებ. მსოფლიოს ჩემპიონატს კი ზუსტად ერთი წლის შემდეგ კანადის ქალაქი ვანკუვერი უმასპინძლებს. იქ უნდა ვიპირველო და ლიცენზიაც გარანტირებული იქნება.

**— პოლონეთში ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრების გამოსვლაზე რას გვეტყვით?**

— ალეკო ნოზაძემ (105კგ) ჩემპიონატის წინ წონითი კატეგორია შეიცვალა და 20 კილო დაიკლო. ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში მე-11 ადგილი აშკარა წინსვლაა. თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, რომ ათენში პრიზიორობისთვის ბრძოლას შეძლებს. ალეკო 4 თვით პოლონეთში დარჩა და ევროპის ჩემპიონატისთვის იქ მოემზადება. დავით პავლიაშვილის (77კგ) მე-8 ადგილიც კარგი შედეგია. ეს 24 წლის ბიჭი სალიცენზიო ტურნირებზე გვარიანად შეგვეშველება.

**— სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ორი ქართველი ძალოსანი დარჩა ავსტრალიაში, თუ გაქვთ მათთან რაიმე კონტაქტი?**

— ავსტრალიიდან ამერიკაში გადასული მუხრან გოგია მწვრთნელად მუშაობს, ვალერი სარავაზე კი პოლონეთში მითხრეს, რომ მომავალ წელს ავსტრალიის მოქალაქეობას მიიღებს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც მათი სახელით გამოვა.

**— მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ასანიძე ოჯახით დღესაც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ახლა მაინც არ მოგცემთ ქალაქის მერია დაპირებულ ბინას?**

— ნაწილობრივ მთავრობის დახმარებით, ნაწილობრივ ჩემით და იმ კეთილი ადამიანის მეოხებით, რომელიც გვერდში დამიდგა, შევძელი გამეუმჯობესებინა ჩემი ოჯახის საცხოვრებელი პირობები. ძალიან გთხოვთ, ამ საკითხზე მეტს ნურაფერს შემეკითხებით.

**— წარმოიდგინეთ, რომ ჟიურის წევრი ხართ და მიუკერძოებლად უნდა დაასახელოთ 2002 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი...**

— რთული შეკითხვაა. წლეულს ჩვენი ქვეყნიდან რამდენიმე სპორტსმენმა გამოიჩინა თავი, მაგრამ ვინმეს გული რომ არ ვატკინო, მაინც თავს შევიკავებ. თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის მომინდვია ეგ საქმე.

**— და ბოლო შეკითხვაც, თუ ისურვებდი, რომ შენი ვაჟი ძალოსნობას შეეჭიდოს?**

— თუ მე შევძელი ჩემი ჩანაფიქრის შესრულება, მაშინ ჯობს, უფრო „მსუბუქი" სახეობა აირჩიოს. თუ არადა, შეიძლება არჩევანის წინაშეც დავდგე, რომელი ბიჭი გავწირო ძალოსნობისთვის...

**P.S.** მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ „სარბიელს" გაუმხილა, რომ მისი ოჯახი გაზაფხულზე ტყუპ ბიჭს ელოდება.

**ზურაბ ტაბატაძე**

# მაინც პრადამ იმარჯვა

ნავიც წამოყირავებულა და საწყალებელიც ბევრია, მაგრამ სიხარული ამას გადაფარავს. იტალიურ „პრადას“ დაუმარცხებია შვედური „ვიქტორ ჩელინჯი“ ოკლენდის ჰაურაკის ყურეში გახურებულ ლუის ვუტონის თასის მეოთხედფინალის ერთ-ერთზე ცურვაში. ეს მეოთხედფინალი უქარობის გამო რამდენიმე დღით გადადებული იყო.



REUTERS



REUTERS

# ვითომდა მართლა მშვიდი

ვითომ კრიკეტი მშვიდი, გაწელილი და მოსაწყენი თამაშია, ასე იციან ჩვენში. აბა, ნახეთ თუ მოსაწყენია: ავსტრალია — ინგლისის ტესტი ჯერ ხეირიანად არც კი გახურებულა დასავლეთ ავსტრალიის ქალაქ პერტში და პირველსავე დღეს კი როგორი ჩხუბი ამტყდარა ქომაგებს შორის. მაგრამ ამის ცქერას სჯობს მართლა მშვიდად მიძინებული ჩვილის ცქერა, რომელიც მამას, ინგლისელ მოკრიკეტეთა კაპიტან ნასარ ჰუსეინს შინ არ დაუტოვებია და ამხელა გზაზე ავსტრალიაში წაუყვანია.





REUTERS

# გრან პრის სიამე

იაპონიის ძველ დედაქალაქ კიოტოში ფიგურული სრიალის „გრან პრის“ ერთ-ერთი სერია თამაშდება. ამოდ საცქერი შეჯიბრება ფოტოებზეც ლამაზია. დახედეთ: პოლონელები დოროტა ზაგორსკა-მარიუშ სიუდეკი და ბრიტანელი მარიკა ჰამფრესი-ვიტალი ბარანოვი (ზედა ფოტოზე) მართლაც მოხდენილნი არიან.



REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge